

მეტროს მატარებლით დავეწიოთ პრაღას
A2



ევროპული პასიანსი და ერთი ჯოკერი
A6



სტუმრად მაესტროსთან
A8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 25 ოქტომბერი, 2005 წელი. №296 (1096)

ფასი 50 თეთრი

## უცხოეთი

### რუსეთი ირანთან მოლაპარაკებით კმაყოფილია



ნიუ-იორკში 2005 წლის სამიტზე ირანის ისლამური რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტების შეხვედრის შემდეგ, მოლაპარაკებათა მაგიდას ამჯერად უკვე ამ ორი ქვეყნის საგარეო უწყებათა მეთაურები მიუსხდნენ.

A4

## სამართალი

### გამოძიებას ამერიკელები აბრძელებენ



ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორები, რომლებიც პენტაგონის პროგრამა "სტაბილურობის შენარჩუნების ოპერაციის" ფარგლებში ქართველ ჯარისკაცებს ამზადებენ, ორი დღის წინ სკანდალში გაეხვნენ, რასაც რუსული მედიაც გამოხმაურა.

A5

## რევიუ

### დუმილიდან პირდაპირი ნახტომით დღევანდელობაში



A7

## ამინდი

| | 25/10 | 26/10 |
|---|---|---|
| თბილისი | 20 | 21 |
| ტყიბული | 20 | 20 |
| სოხუმი | 18 | 19 |
| გორი | 15 | 16 |
| ონი | 12 | 14 |
| ზუგდიდი | 21 | 21 |
| ახმეტა | 20 | 20 |
| გაგრა | 16 | 15 |
| სამტრედია | 21 | 21 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7950 |
| ევრო | 2.1423 |
| ბრიტანული სტერლ. | 3.1703 |
| რუბლი | 0.0627 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| უცხოეთი | A 4 |
| სამართალი | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| რევიუ | A 8 |


# ახალი ფრაქცია წართმეული "ძეხვის" დაბრუნებას შეეცდება

"ძველი" ფრაქციის წევრები კი ერთმანეთს უპირისპირდებიან

გიორგი ასანიშვილი

*ამჟამინდელი მოწვევის პარლამენტში, მისი ფუნქციონირების წელიწადნახევრის თავზე, ახალი, რიგით მეექვსე ფრაქცია იშვა. "ახალშობილს" "დემოკრატიული ფრონტი" ჰქვია. ის მამრობითი სქესისაა - ახალ ფრაქციაში მხოლოდ მამაკაცი პარლამენტარები არიან. 17-კაციანი ოპოზიციური "დემოკრატიული ფრონტის" თავმჯდომარეა საპარლამენტო უმრავლესობის რიგებიდან ერთი თვის წინათ გასული დავით ზურაბიშვილი, ხოლო პოლიტიკური მდივანი - "კონსერვატორი" კახა კუკავა. ფრაქცია ექვსი "რესპუბლიკელის", რვა "კონსერვატორის" და სამი დამოუკიდებელი დეპუტატის (დავით ზურაბიშვილი, ლევან გაჩეჩილაძე, გია თორთლაძე) გაერთიანებას წარმოადგენს.*

გაგრძელება A3 გვერდზე



"საქართველო შევარდნაძის ნაჩენების გარეშე" - ასეთია ახალი ფრაქციის ლოზუნგი.

# ვისთვის - დროებითი გაერთიანება, ვისთვის - სერიოზული ძალა

ნინო გომართელი

საქართველოს პარლამენტში ოპოზიციურ ძალებს კიდევ ერთი და ოფიციალურად შექმნილი ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტი" შეემატა. შექმნისთანავე დაფიქსირდა მისი მიზნები - ხელისუფლებისთვის წინააღმდეგობის გაწევა ჯანსაღი კრიტიკით და საპარლამენტო უმცირესობის შექმნა, რაც თავისთავად გარკვეულ პრივილეგიას გულისხმობს. თუმცა, ამ უკანასკნელის მისაღწევად ახალ ფრაქციას, ჯერჯერობით, დეპუტატთა საჭირო რაოდენობა არ აქვს. უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში უმცირესობის ჩამოსაყალიბებლად, უმრავლესობის გარეთ მყოფი დეპუტატების ნახევარზე მეტია საჭირო.

სამთავრობო გუნდი "დემოკრატიული ფრონტის" მიზნებს სკეპტიკურად უყურებს. უმრავლესობის ლიდერი მაია ნადირაძე აცხადებს, რომ ახალი ერთეული საპარლამენტო ცხოვრებაში მნიშვნელოვან ცვლილებას ვერ შეიტანს.

**"ეს ხალხი თავის დროზე "ნაციონალურ მოძრაობაში" იმიტომ გაწევრიანდა, რომ პარლამენტში მოხვედრილიყვნენ. შემდეგ გადავიდნენ ოპოზიციაში, სურდათ დამოუკიდებელი ფრაქციის შექმნა და, ბოლოს და ბოლოს, ეს მოახერხეს. ამიტომაც ჩვენთვის მოულოდნელი და განსაკუთრებული არაფერი მომხდარა,** - აღნიშნა ნადირაძემ და ხაზგასმით დასძინა, - **"დემოკრატიული ფრონტი" ხელისუფლების ალტერნატიულ ძალად ვერ იქცევა."**

ახალი ფრაქციის სიძლიერეში ეჭვი ეპარება პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარესაც. **"ფრაქციაში სხვადასხვა პლატფორმისა და ხედვის ადამიანები ერთიანდებიან. მათ სხვადასხვა იდეალები აქვთ. რამდენად ძლიერი და თავისუფალნი იქნებიან გადაწყვეტილების მიღებისას, ამას მხოლოდ დრო გვიჩვენებს,"** - ამბობს ელენე თევდორაძე.

გაგრძელება A3 გვერდზე

# გაწევრიანების რეალური პერსპექტივა და სუბიექტური შენიშვნები

ნატო-ს სპეცწარმომადგენელი IPAP-ის მიმდინარეობას აკვირდება

ნიკა თარაშვილი

*მიმდინარე თვის დასაწყისში ცნობილი გახდა, რომ ნატო-ს მომავალი სამიტი 2008 წლამდე გადაიდო. შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლებას სამი წლის ვადა აქვს, რათა ბოლომდე მიიყვანოს ნატო-სთან ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა და მომდევნო სამიტზე მოიპოვოს ალიანსში გაწევრიანების საგზური. რასაკვირველია, მანამდე ჩრდილოატლანტიკური ალიანსი რეგულარულ მონიტორინგს გაუწევს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული რეფორმების სწორი გზით წარმართვას. სწორედ ამ მიზნით, საქართველოს ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში რობერტ სიმონსი სტუმრობს.*

გაგრძელება A4 გვერდზე



სტუმარი საგარეო საქმეთა მინისტრმა მიიღო.

# ვის რამდენი დაუჯდა შუალედური არჩევნები

*სამმა პარტიამ, ვისაც შუალედურ არჩევნებში საკუთარი კანდიდატი ჰყავდა წარდგენილი, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას არჩევნების ხარჯთაღრიცხვა წარუდგინა. "ნაციონალურ მოძრაობას", "მემარჯვენეებსა" და "ეროვნულ-დემოკრატებს" შორის არჩევნები ყველაზე ძვირი, როგორც მოსალოდნელი იყო, "ნაციონალებს" დაუჯდათ.*

ნანა ქადაგიშვილი

საარჩევნო კოდექსის მიხედვით, არჩევნებში გამარჯვებულმა პარტიამ ცესკო-ში ხარჯთაღრიცხვა არჩევნებიდან 8 დღეში უნდა წარადგინოს, დამარცხებულმა - ერთი თვის განმავლობაში. არჩევნებში მონაწილე ოთხი პარტიიდან კანონის მოთხოვნა, ჯერჯერობით, სამმა - "ნაციონალურმა მოძრაობამ", "მემარჯვენე ოპოზიციამ" და "ეროვნულ-დემოკრატიულმა" პარტიამ შეასრულა. "კონსერვატორები" ხარჯთაღრიცხვის წარდგენას ჯერ არ ჩქარობენ, ვადა პირველ ნოემბრამდე აქვთ.

აღნიშნულ სამ პარტიას შორის ყველაზე სოლიდურად "ნაციონალების" ხარჯთაღრიცხვა გამოიყურება - 234 371 ლარი და 19 თეთრი. "მემარჯვენეებს" 22 596 ლარი და 97 თეთრი დაუხარჯავთ. ყველაზე მოკრძალებულები კი "ეროვნულ-დემოკრატები" აღმოჩნდნენ - 2 504 ლარი იმყოფინეს.

ოპოზიციური პარტიების კანდიდატებს არც ჰქონიათ იმის იმედი, რომ "ნაციონალ" ოპონენტებს პიარში აჯობებდნენ. **"ხელისუფლება და სახელმწიფო ბიუჯეტი მათ მხარეზეა და სტადიონების და შადრევნების გახსნა არ გაუჭირდებათ,"** - ჩიოდნენ "მემარჯვენეები".

ცესკოს დაპირებით, საარჩევნო კოდექსის ცვლილებების პროექტზე მუშაობისას, პარლამენტში განიხილება საკითხი იმის თაობაზე, რომ ყველა კანდიდატს მუშაობა თანაბარ პირობებში უწევდეს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ხალხი სასამართლოს გადაწყვეტილებას აპროტესტებს

ზვიად რუაძე
კახეთიდან

*კახეთის სამხარეო პოლიციის წინ ყვარლის რაიონის სოფელ ენისელის მოსახლეობამ ხმაურიანი საპროტესტო აქცია გამართა. მათი განცხადებით, პოლიციამ მამა-შვილი გურამ და მურად დევლარიშვილები უკანონოდ დააკავა, თელავის რაიონულმა სასამართლომ კი, სამხარეო პოლიციის ზეწოლის შედეგად, უსაფუძვლო განაჩენი გამოიტანა, რის გამოც მამა-შვილ დევლარიშვილებს წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეეფარდათ. მომხდართან დაკავშირებით საქმეში არასამთავრობო ორგანიზაცია "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა" და "თავისუფლების ინსტიტუტის" თელავის ოფისის წარმომადგენლები ჩაერთვნენ.*

გაგრძელება A5 გვერდზე



ზვიად რუაძის ფოტო

საპროტესტო აქცია კახეთის სამხარეო პოლიციასთან.

# ემუქრება თუ არა საქართველოს "ქათმის გრიპი"?

*"ქათმის გრიპის" პანიკა უკვე მსოფლიოს მოედო. ის საქართველოსაც უახლოვდება. ბოლო ინფორმაციით, ვირუსის არსებობა დადასტურდა რუსეთში, ბულგარეთსა და რუმინეთშიც. ჯერჯერობით დაუდგენელია, თურქეთის ერთ-ერთ რეგიონში ორიოდ დღის წინ დაფიქსირებული ფაქტი არის თუ არა სწორედ ამ ტიპის გრიპით გამოწვეული, თუმცა ის, რომ ევროპის სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრები ბრიუსელში საგანგებო რეჟიმში მუშაობენ, გარკვეულწილად მიუთითებს იმაზე, რომ მდგომარეობა საგანგაშოა. სწორედ ამ დროს, საქართველოში საერთაშორისო ეპიზოოტური ბიურო უმაღლესი რანგის შეხვედრას აწყობს. ოთხდღიან კონფერენციაზე გადაწყდება, რა ზომებს მიმართავს 167 სახელმწიფო "ქათმის გრიპის" გავრცელების საწინააღმდეგოდ, შეიქმნება თუ არა თბილისში შუა აზიისა და კავკასიის რეგიონალური მართვის სამსახური და რამდენად აქტიური იქნება საქართველოს როლი ბიოლოგიური იარაღის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლაში?*

ოთარ ქირია

მსხვილფეხა პირუტყვის ჭირთან ბრძოლის გლობალიზაციის მიზნით, 1924 წელს ევროპის ხუთმა სახელმწიფომ პარიზში საერთაშორისო ეპიზოოტური ბიურო დააარსა. მოგვიანებით ორგანიზაცია სხვა ნოზოლოგიების რეგულირებითაც დაინტერესდა და დღეისათვის 167 ქვეყანას აერთიანებს. შეიძლება ითქვას, რომ იგი განსაზღვრავს ვეტერინარიისა და დაავადებების გავრცელებასთან ბრძოლის მსოფლიო პოლიტიკას. მის ნორმებსა და წესებს ცნობს ყველა უმსხვილესი საერთაშორისო ორგანიზაცია და გაერთიანება (EU, WTO, WHO, WB, UNFAO) შესაბამისად, მის გადაწყვეტილებაზე გახლავთ დამოკიდებული მსოფლიოში ამა თუ იმ პროდუქტის ექსპორტ-იმპორტიც.

გაგრძელება A2 გვერდზე

## თსუ-ში საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი პროექტის პრეზენტაცია გაიმართება

საქართველოში საფინანსო და სოციალური პოლიტიკის სრულყოფის გზების შესწავლას ისახავს მიზნად საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი პროექტი, რომლის პრეზენტაცია სამშაბათს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში გაიმართება. როგორც პრაიმ-ნიუსს პრეზენტაციის ორგანიზატორებმა აცნობეს, პროექტის - "საგადასახადო რეფორმა და ფისკალური პასუხისმგებლობა: საფინანსო და სოციალური პოლიტიკის სრულყოფის გზები საქართველოში" - ხელმძღვანელია გერმანიის ეკონომიკური კვლევის ინსტიტუტის პროფესორი, გერმანია-საფრანგეთის სამთავრობო ეკონომიკური კომისიის წევრი, ავსტრალიის მთავრობის მრჩეველი საფინანსო საკითხებში ჰანს-გეორგ პეტერსენი. ორგანიზატორთა განმარტებით, პროექტის ხანგრძლივობა 2 წელია და იგი "ფოლკსვაგენის" ფონდის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდება. ქართული მხრიდან პროექტში ჩართულია თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ფინანსებისა და სტატისტიკის კათედრები. პრეზენტაციაში მონაწილეობას მიიღებენ გერმანიის ფედერალური ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები, გერმანიის 3 უნივერსიტეტის პროფესორები, აზერბაიჯანისა და სომხეთის მეცნიერთა დელეგაციები. საქართველოს სხვადასხვა სამინისტროებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები. პროექტის საბოლოო შედეგები საქართველოს პარლამენტს, მთავრობას, ფინანსთა სამინისტროსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს წარედგინება.

*პრაიმ-ნიუსი*

## "კავკასიონზე" სარემონტო სამუშაოები რამდენიმე დღეში დასრულდება

"კავკასიონის" მაღალი ძაბვის გადამცემ ხაზზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოები რამდენიმე დღეში დასრულდება. როგორც "მედიანიუსს" "საქრუსენერგოს" გენერალური დირექტორის მოადგილემ შოთა მაისურაძემ განუცხადა, მაღალი ძაბვის 500-კილოვოლტიან გადამცემ ხაზზე, "კავკასიონზე" მობილური ჯგუფები სარემონტო სამუშოებს უკვე ასრულებენ. "კავკასიონი" 2005 წლის გაზაფხულზე დიდთოვლობის გამო ჩამოწოლილმა ზვავმა დააზიანა. საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის ცნობით, ამ ეტაპზე საქართველოში ელექტროენერგიის იმპორტი აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან ხორციელდება. საბითუმო ბაზრის ინფორმაციით კი, საქართველოს ენერგოსისტემის დეფიციტი 1 მილიარდ 500 ათას კილოვატსაათს შეადგენს. დეფიციტის დაძლევა იმპორტის ხარჯზე ხდება.

*მედიანიუსი*

## ლიტველები თბილისში ინვესტირებას აპირებენ

თბილისის მერმა გიგი უგულავამ დღეს ლიტვის დედაქალაქის, ვილნიუსის მერი არტურას ზუოკასი მიიღო. ვილნიუსის მერის ეს ვიზიტი 2005 წლის 7 ივლისს ვილნიუსში დაიგეგმა. ამ დღეს ვილნიუსისა და თბილისის მერიებს შორის გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი. მასში საუბარია ორ ქალაქს შორის ეკონომიკური, სოციალური, კულტურული ურთიერთობების ხელშეწყობასა და ქალაქის განვითარების საკითხებსა და გამოცდილებების ურთიერთგაცვლაზე. ასევე, არასამთავრობო და კერძო ორგანიზაციების მჭიდრო თანამშრომლობაზე. როგორც შეხვედრის შემდეგ გიგი უგულავამ აღნიშნა, ლიტვის მხარე მზადაა, თბილისს ძველი ქალაქის მოვლა-პატრონობის გამოცდილება გაუზიაროს. ლაპარაკია ქალაქის აღდგენის სამწლიან პროგრამაზე, რომელიც ვილნიუსში წარმატებით განხორციელდა. ლიტვის მხარე ასევე მზადაა, თბილისის მთავრობას ტრანსპორტით, წყლითა და გაზით მოსახლეობის უკეთ უზრუნველყოფის გამოცდილება გაუზიაროს. უგულავას თქმით, ლიტვის დელეგაციაში მყოფი ბიზნესმენები თბილისის ბაზარზე არსებულ სიტუაციას შეისწავლიან. არ არის გამორიცხული, უახლოეს მომავალში მათ სხვადასხვა სფეროში ინვესტიციები დააბანდონ.

შეხვედრაზე ვილნიუსის მერი გამოვიდა ინიციატივით, 2006 წელს ვილნიუსში თბილისის, ვილნიუსის, ცხინვალის, სოხუმისა და გაგრის მერების შეხვედრა გაიმართოს და მათ შორის საერთო ენა გამოინახოს. ვილნიუსის ათკაციანი დელეგაცია არტურას ზუოკასის ხელმძღვანელობით თბილისს დღეს დატოვებს.

*მედიანიუსი*

## საქართველოს მოქალაქეები დანაზოგს, ძირითადად, უცხოურ ვალუტაში ინახავენ

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, სექტემბერში საბანკო დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 73,6 პროცენტს შეადგენს. იგი აგვისტოს თვესთან შედარებით 0,1 პროცენტითაა შემცირებული. საქართველოს მოქალაქეები ბანკებში დანაზოგის შენახვას, ჯერჯერობით, ისევ უცხოურ ვალუტაში ამჯობინებენ. სალარე დეპოზიტებისაგან განსხვავებით, რომელთა 83,2 პროცენტი იურიდიულ პირებს ეკუთვნის, სავალუტო დეპოზიტების 67,3 პროცენტი ფიზიკური პირების სახსრებია. ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 2005 წლის სამ კვარტალში უცხოურ ვალუტაში განთავსებულმა დეპოზიტებმა 26,2 პროცენტით მოიმატა და სექტემბრის ბოლოსთვის 460,4 მილიონი დოლარი შეადგინა.

*მედიანიუსი*

## აჭარა სომხური ინვესტიციების ზრდით არის დაინტერესებული

ბათუმსა და ერევანს შორის სარკინიგზო და საჰაერო მიმოსვლის აღდგენისა და ეკონომიკური თანამშრომლობის სხვა საკითხებს განიხილავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მეთაური ლევან ვარშალომიძე ერევანში ოფიციალურ პირებთან გამართულ შეხვედრებზე. ლევან ვარშალომიძე ერევანს ორდღიანი ვიზიტით ორშაბათს ეწვია. ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია შეხვედრები სომხეთის პრეზიდენტ რობერტ ქოჩარიანთან, პრემიერ-მინისტრ ანდრანიკ მარგარიანთან, ერევნის მერთან ე. ზახარიანთან. ვარშალომიძე ასევე ეწვევა ტურიზმის ინსტიტუტის სამკურნალო დაწესებულება "ნაირის". როგორც პრაიმ-ნიუსს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტიდან აცნობეს, ვიზიტის მიზანია სომხეთსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას შორის ურთიერთანამშრომლობის გაღრმავება. "ამ პროცესში ორივე მხარე აქტიურად არის ჩართული, რაც წლევანდელ ტურისტულ სეზონზე აჭარის კურორტებზე სომხეთიდან ტურისტების რაოდენობის 6-ჯერ ზრდის ფაქტმაც დაადასტურა," - აღნიშნეს მათ. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტში მიიჩნევენ, რომ ბათუმსა და ერევანს შორის სარკინიგზო და საჰაერო მიმოსვლის აღდგენა ხელს შეუწყობს როგორც ტურიზმის განვითარებას, ასევე ტვირთბრუნვის ზრდას.

*პრაიმ-ნიუსი*

## ნაძალადევის რაიონს გაზმომარაგება დროებით შეუწყდება

ნაძალადევის რაიონს 26 ოქტომბრიდან გაზმომარაგება დროებით შეუწყდება. როგორც "ინტერპრესნიუსს" "თბილგაზში" განუცხადეს, ნაძალადევის რაიონის, კერძოდ, თემქის დასახლებასა და სასტუმრო "საქართველოდან" კუტუზოვის ქუჩის ბოლომდე მცხოვრები მოსახლეობა ბუნებრივ აირს 26 ოქტომბრის 11.00 საათიდან 3 ნოემბრის 18.00 საათამდე ვერ მიიღებს. ნაძალადევისთვის გაზის შეწყვეტის მიზეზად "თბილგაზში" ზამთრისთვის მზადებას ასახელებენ, რისთვისაც კომპანია მიწისქვეშა გადართვის სამუშაოებს ახორციელებს. ამასთან, კომპანიაში განმარტავენ, რომ ნაძალადევის რაიონი ბუნებრივი აირის საფასურის ამოღების თვალსაზრისით ერთ-ერთი რთული უბანია. **"ნაძალადევის რაიონში გაზის დანაკარგი 80 პროცენტს აღემატება. მოსახლეობა არალეგალური ქსელის მეშვეობით მოიხმარს ბუნებრივ აირს, რაც განსაკუთრებულ პრობლემებს ქმნის. 26 ოქტომბრიდან ნაძალადევის რაიონში "თბილგაზის" 15 ბრიგადა იმუშავებს, რომელიც სარეაბილიტაციო სამუშაოების პარალელურად, მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურის ამოღებაზე იზრუნებს,"** - განაცხადეს "თბილგაზში". კომპანიაში აღნიშნავენ, რომ თუ მოსახლეობა "თბილგაზის" სპეციალისტებს არალეგალური ქსელის ჩაჭრის საშუალებას არ მისცემს, რაიონს გაზმომარაგება შესაძლოა, 3 ნოემბერსაც არ აღუდგეს.

*ინტერპრესნიუსი*

# მეტროს მატარებლით დავეწიოთ პრაღას

თამარ დვალი

*"მინდა გვქონდეს პრაღის მსგავსი მეტროპოლიტენი. ადამიანი მეტროში რომ ჩავა, ევროპულ ქალაქში უნდა იგრძნოს თავი," - ასეთია საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ახალი ინიციატივა და დედაქალაქის მერისა და მეტროპოლიტენის გენერალური დირექტორისთვის მიცემული მორიგი დავალება.*

**"დღეს დავალება მოგვცა საქართველოს პრეზიდენტმა, რომ მეტროპოლიტენი პრესტიჟული და უსაფრთხო უნდა გახდეს. ეს არის ჩვენთვის კანონი და მის შესასრულებლად მუშაობას დღეიდანვე შევუდგებით. ზუსტად ერთი თვის თავზე პირველი თანამედროვე მატარებელი გამოჩნდება. ჩვენ გვყავს კვალიფიციური კადრები, რომელთა ძალისხმევითაც ძველ მატარებლებს ეტაპობრივად შევცვლით,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას სახელმწიფო კანცელარიიდან გამოსულმა მეტროპოლიტენის გენერალურმა დირექტორმა ზურაბ კიკალეიშვილმა. მისივე თქმით, ძველი ვაგონები დაიშლება და მათ ნაცვლად თანამედროვე დიზაინის ვაგონები აეწყობა.

თბილისის მეტროპოლიტენში სულ 212 ვაგონი და 53-მდე მატარებელია. პრეზიდენტის მითითებით, არა მარტო მატარებლების შეცვლა უნდა მოხდეს, არამედ თავად სადგურების დიზაინიც შეიცვალოს. თუკი ყველაფერი მითითების მიხედვით გაკეთდა, ახლო მომავალში 22 თანამედროვე სადგური გვექნება.

თანამედროვე მატარებლებისა და სადგურების მშენებლობისთვის რა თანხა დაიხარჯება, მეტ-



*მეტროპოლიტენი ევროპულ სტანდარტებზე გადადის.*

როპოლიტენის ხელმძღვანელობამ ჯერ არ იცის. ამის შესახებ ისინი მომავალში იმსჯელებენ. **"პრეზიდენტმა დღეს მოგვცა დავალება და ამიტომ ზუსტ ციფრებს ვერ გეტყვით. თუმცა, პრეზიდენტი ჰაერზე არაფერს ლაპარაკობს და ახალი ინიციატივაც კარგად დაანგარიშებული იქნება,"** - განაცხადა კიკალეიშვილმა. ერთადერთი, რაც მეტროპოლიტენის ხელმძღვანელობამ დანამდვილებით იცის, არის ის, რომ მგზავრობის ღირებულებამ 20 თეთრს არ უნდა გადააჭარბოს. ამის შესახებ გაფრთხილება მათ პრეზიდენტმა მისცა.

რაც შეეხება ვაგონების განახლებას, ეს სამუშაოები საქართველოში, კერძოდ კი, გლდანის ქარხანაში განხორციელდება.

**"აღსანიშნავია, რომ ვაგონების განახლება ჩვენსავე ქვეყანაში მოხდება. ასეთივე ტიპის ვაგონები რუსეთიდან რომ შემოგვეყვანა, ერთი ვაგონის შესაძენად 750 ათასი დოლარი უნდა გადაგვეხადა, ევროპიდან შემოყვანის შემთხვევაში - მილიონ 200 ათასი. ადგილობრივი წარმოების დროს თითო ვაგონის ასაგებად 250 ათასი დოლარი დაიხარჯება. ამას გარდა, კარგია, რომ ათასობით მუშახელი დასაქმდება. მალე შეკვეთებს მეზობელი ქვეყნებიდანაც მივიღებთ,"** - აღნიშნა მეტროპოლიტენის გენერალურმა დირექტორმა ზურაბ კიკალეიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ თანამედროვე მეტროპოლიტენის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა განცხადება გუშინ, სახელმწიფო კანცელარიაში დედაქალაქის მერთან გიგი უგულავასთან და თბილისის მეტროპოლიტენის გენერალურ დირექტორთან ზურაბ კიკალეიშვილთან შეხვედრისას გააკეთა.

პრეზიდენტის თქმით, მეტროპოლიტენი დღეს მძიმე მდგომარეობაშია და განახლებას საჭიროებს. მისივე განცხადებით, უნდა გარემონტდეს ყველა სადგური, მატარებლები კი შეიცვალოს და ევროპულ სტანდარტებზე გადავიდეს.

# ემუქრება თუ არა საქართველოს "ქათმის გრიპი"?

პირველი გვერდიდან

სწორედ ამ ბიუროს ნებით აიკრძალა რამდენიმე ქვეყნიდან ფრინველის, კვერცხის და ფრინველის პროდუქტების იმპორტი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ყველა ქვეყნიდან, რუსეთიდან, საბერძნეთიდან, რუმინეთიდან, ბულგარეთიდან, ყაზახეთიდან. შესაძლოა, მალე მათ რიცხვს თურქეთიც მიემატოს. მართალია, ჯერ დადასტურებული არ არის, რომ ამ ქვეყნის ერთ-ერთ რეგიონში ფრინველის ამოწყვეტა სწორედ "ქათმის გრიპით" არის განპირობებული, მაგრამ ექსპერტების ვარაუდით, შესაძლოა, ეს რეგიონი ვირუსის გავრცელების ახალი კერა გახდეს. "ქათმის გრიპი" ნერწყვით გადადის და მან შეიძლება დააავადოს როგორც ფრინველი, ისე ადამიანი. დღეისათვის მსოფლიოს მასშტაბით ცნობილია ადამიანის ამ ვირუსით ინფიცირებისა და გადრაცვალების 60 შემთხვევა. რა თქმა უნდა, ფარმაცევტულმა კომპანიებმა მომენტალურად ვაქცინაციის შესახებ გააკეთეს ოფიციალური განცხადება, თუმცა **საერთაშორისო ეპიზოოტური ბიუროს ადამინისტრაციული კომისიის წევრი ნიკოლა ბელევი მიიჩნევს, რომ ვაქცინა "ქათმის გრიპის" წინააღდეგ არ არსებობს:**

- ეს არასწორია და მხოლოდ პანიკის გავრცელებას ემსახურება. ჯერ ერთი, ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გრიპი მსოფლიოს მოედო გადამეტებულად მიგვაჩნია. გარდა ამისა, ჩვენ უკვე ვიხილავთ იმ საკითხსაც, რომ აიკრძალოს ქათმის იმპორტი არა მთელი ქვეყნიდან, სადაც ესა თუ ის ფაქტი დაფიქსირდა, არამედ იმ კონკრეტული რეგიონიდან, სადაც გარკვეულ საეჭვო შემთხვევას ჰქონდა ადგილი. ქათმის პროდუქტების ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებელი ისედაც კატასტროფულ ნიშნულამდე მიდის. დღეისათვის ცნობილია, რომ ევროპაში ამ პროდუქციის მიმოქცევა 38,5 პროცენტით შემცირდა.

**- ამ კონფერენციისთვის საქართველო რატომ შეირჩა?**

- გეოგრაფიული მდებარეობის გამო. გარდა ამისა, ბოლო პერიოდში საქართველოსთან თანამშრომლობა საკმაოდ გააქტიურდა.

**- რამდენად საშიშია "ქათმის გრიპი" ჩვენთვის?**

- საშიშროება, რა თქმა უნდა, არსებობს იმიტომ, რომ მეზობელ ქვეყნებში დაფიქსირდა. თუმცა ასე მიდგომა, ვფიქრობ, არასწორია იმიტომ, რომ ვირუსის აფეთქების, როგორც ამას ამბობენ, ზოგადად საშიშროება არ არსებობს.

ბელევის ინფორმაციით, საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო მცდარი გადაწყვეტილება, როცა სასაზღვრო გამშვებ პუნქტებში არსებული ვეტერინარიის სამსახურები საბაჟო სამსახურს დაუქვემდებარა. ინფორმაცია დაადასტურა საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მრჩეველმა ლევან რამიშვილმაც: **"ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება ბიუროს რეგულირებებს. ყველა ქვეყანა, რომელიც გაწევრიანებულია ამ ორგანიზაციაში ვალდებულია დაიცვას ის წესები და მითითებები, რასაც ბიურო იძლევა, ამ კუთხით კი ბიურო ამბობს, რომ სასაზღვრო პუნქტებში ვეტ-სამსახურები სრულად უნდა ექვემდებარებოდეს ვეტერინარიის სახელმწიფო დეპარტამენტს. რამდენადაც ვიცი, ეს გადაწყვეტილება საქართველოს მთავრობამ იმ მოტივით მიიღო, რომ კორუფცია აღმოეფხვრა ვეტსამსახურებში. თუმცა, იმავე წარმატებით კორუფციაში ბრალს თავის დროზე საბაჟოსაც სდებდნენ. ამდენად ნათელია, რომ მთავრობას გადაწყვეტილების შეცვლა მოუწევს. წინააღდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, გაუგებრობები წარმოიშვას, რაც დღეს ძლიან ცუდი იქნება. ამ ბიუროში საქართველო 1994 წელს გაწევრიანდა, თუმცა გასულ წლამდე არც საწევროს ვიხდიდით, არც ვინმე გვაქცევდა ყურადღებას. წელს კი ურთიერთობები დათბა. როგორც იქნა ჩაგვთვალეს სრულუფლებიან წევრებად. დაიწყო პროექტი სახელწოდებით "ბიოლოგიური იარაღის გაუვრცელებლობის პროგრამა". ეს უნიკალური ლაბორატორიების ქსელის ჩამოყალიბებას გულისხმობს. საქართველოში შეიქმნება სამი ეპიდემიოლოგიური მონიტორინგის სადგური, ათი საველე სადგური ქვეყნის ყველა რეგიონში და საცნობარო ლაბორატორია. ასეთი ევროპაში ორია და მის შექმნაში აშშ მთავრობა 30 მილიონს იხდის. ასეთ პროექტებს გაფრთხილება სჭირდება ვინაიდან, მისი მეშვეობით საქართველო კიდევ ერთხელ შეიძენს მნიშვნელოვან როლს შუა აზიის, აღმოსავლეთ ევროპისა და კავკასიის რეგიონებში".**

კონფერენცია ოთხ დღეს გასტანს. დღეს მას ბიუროს გენერალური დირექტორი ბერნარ ვალა შეუერთდება, რომელიც მოგვიანებით სააკაშვილს შეხვდება,. სადაც საქართველოს ვეტ-დეპარტამენტის ხელმძღვანელის ჯამბულ მაღლაკელიძის ინფორმაციით, სავარაუდოდ, დეპარატამენტში ახალი პროექტების საკითხი განიხილება. **"დაგეგმილია დეპარტამენტის სრულად რეფორმირება და საერთაშორისო ეპიზოოტური ბიუროს სტადარტებთან მისადაგება. ამ მიზნით, ბიურო და 50-ზე მეტი ქვეყნის ექსპერტები ვმუშაობთ რამდენიმე მიმართულებით. პირველ რიგში, ქართველი ვეტერინარები გაივლიან სპეციალურ სწავლებას, რომელიც "ქათმის გრიპის" წინააღდეგ ბრძოლისთვის არის აუცილებელი. შემდგომ ეტაპებზე კი საუბარია რამდენიმე მიზნობრივი პროექტის დაწყებაზე. ზოგადადად, ბიუროსთან ჩვენ უკვე აქტიურად ვთანამშრომლობთ, დაწყებულია ჰუმანიტარული პროგრამა ამიერკავკასიაში დაავადება "თურქულის" მიმართ ბუფერული ზონის შექმნის თაობაზე. მის ფარგლებში საქართველო ყოველწლიურად 600 ათას დოზა პოლივალენტურ ვაქცინას იღებს უფასოდ"** - ამბობს მაღლაკელიძე და დასძენს, რომ საქართველოში ფრინველების გაწყვეტის ფაქტი არვითარ კავშირში არ არის "ქათმის გრიპთან" და ეს გახლდათ ე.წ. "ქოლერა", რომელიც საშიშროებას არ წარმოადგენს არც ადამიანის ინფიცირების, არც ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით.

# ლითონის ნაკეთობები გაძვირდა

სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსმა 2005 წლის სექტემბერში, წინა თვესთან შედარებით, 101,1 პროცენტი შეადგინა. მიმდინარე წლის სექტემბერში, აგვისტოსთან შედარებით, ფასების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა, ლითონის სამშენებლო კონსტრუქციებისა და ნაკეთობების წარმოებაზე - 32,4 პროცენტით, ასევე ფერადი ლითონების მადნების მოპოვებაზე - 12,0 პროცენტით, რაც გამოწვეული იყო სპილენძის კონცენტრატზე ფასების ზრდით. ამასთან, ფასები შემცირდა ქვანახშირის მოპოვებაზე (7,1 პროცენტით) და ნედლი ნავთობის მოპოვებაზე (5,3 პროცენტით). სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსმა 2005 წლის სექტემბერში, 2004 წლის დეკემბერთან შედარებით, 107,0 პროცენტი შეადგინა, რაც, ძირითადად, სათბობ-ენერგეტიკული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე ფასების ზრდით (80,0 პროცენტი) იყო გამოწვეული. სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსმა 2005 წლის სექტემბერში, 2004 წლის სექტემბერთან შედარებით, 107,7 პროცენტი შეადგინა. აღნიშნულ პერიოდში ფასები 58.5 პროცენტით გაიზარდა სათბობ-ენერგეტიკული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე, ხოლო დამამუშავებელ მრეწველობაზე - 8,6 პროცენტით.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# ბურჯანაძე ბიუჯეტის 9 თვის ანგარიშის წარმოდგენას ითხოვს

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე აღმასრულებელ ხელისუფლებას, 2006 წლის ბიუჯეტის პროექტის ძირითადი განხილვების დაწყებამდე, მიმდინარე წლის ბიუჯეტის 9 თვის ანგარიშის წარმოდგენას სთხოვს. ამის თაობაზე პარლამენტის თავმჯდომარემ დღეს განცხადება ბიუროს სხდომაზე გააკეთა. მისი თქმით, აუცილებელია საკანონმდებლო ორგანომ იცოდეს მიმდინარე ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა. ბურჯანაძე ასევე ითხოვს ყველა იმ კანონპროექტის სასწრაფო წესით პარლამენტში წარმოდგენას, რომელთა გარეშეც ბიუჯეტის განხილვის პროცედურა სრულყოფილი არ იქნება. **"აუცილებლად უნდა ვიცოდეთ, რომელი კანონი ამოქმედდება, რომელი შეჩერდება და რომელი გადავადდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, იძულებული გავხდებით, 2006 წლის ბიუჯეტის განხილვის პროცედურა შევაჩეროთ, როცა ის საკანონმდებლო ორგანოში შემოვა,"** - განაცხადა ბურჯანაძემ.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** 5 ნოემბრიდან ცენტრალური საარჩევნო კომისია საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეების სერტიფიცირებას იწყებს. "ამიერიდან საარჩევნო ადმინისტრაცია არაპარტიული, პროფესიული ნიშნით დაკომპლექტდება," - აცხადებს ცესკო-ს ხელმძღვანელობა. გუშინდელი მონაცემებით, საარჩევნო ადმინისტრაციაში მუშაობის სურვილი 1425-მა ადამიანმა გამოთქვა. სერტიფიკატის მიღების შემდეგ კი მომავალმა მოხელემ კონკურსი უნდა გაიაროს. 2005 წლის ბოლომდე ყველა საარჩევნო ოლქი სერტიფიცირებული მოხელეებით უნდა იყოს დაკომპლექტებული. **24 საათი**

■ ■ ■

**მოსკოვი.** გუშინ მოსკოვში დაიწყო შერეული საკონტროლო კომისიის სხდომა, რომელზეც საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელი, სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა, რუსულ და ოსურ მხარეებს სამშვიდობო მოლაპარაკებების ახალ ფორმატსა და მასში ეუთოს, ევროკავშირისა და აშშ-ს მონაწილეობის შესახებ ქართული მხარის მოსაზრებებს წარუდგენს. გიორგი ხაინდრავას განცხადებით, ქართული მხარე მოსკოვის შეხვედრაზე ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებით დაინტერესებულ მოლაპარაკებათა მონაწილეებს ოთხმხრივი საკონტროლო კომისიის მუშაობაში ეუთოს, ევროკავშირისა და აშშ-ს უშუალო ჩართვას მოსთხოვს. ხაინდრავა მიიჩნევს, რომ მოლაპარაკებათა პროცესში ეუთო და ევროკავშირი დღეს მოქმედი ფორმატით სრულფასოვნად ვერ მონაწილეობს და იმისათვის, რომ პროცესმა კონსტრუქციული დინამიკა შეიძინოს, მათ ამის საშუალება უნდა მიეცეს. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "საქართველოს ლეიბორისტული პარტიის" ლიდერი შალვა ნათელაშვილი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული რუსეთის სამშვიდობო ძალების შემადგენლობაში ქართული კონტინგენტის დამატების ინიციატივით გამოდის. ასეთი წინადადება შალვა ნათელაშვილმა მოსკოვში, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილესთან, ვალერი ლოშჩინინთან შეხვედრაზე დააყენა. შალვა ნათელაშვილი მოსკოვში ერთი კვირის წინ გაემგზავრა. როგორც პარტიის პრესსამსახური იტყობინება, ასევე გაიმართა შეხვედრები რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური აკადემიის პროფესორ-მასწავლებლებთან. შეხვედრაზე მან საქართველო-რუსეთის ურთიერთობებსა და რეგიონში განვითარებულ გეოპოლიტიკურ პროცესებზე ისაუბრა. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ოთხი მოადგილის ვინაობა კვლავ უცნობი რჩება. როგორც გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა განაცხადა, მოადგილეების ვინაობას უახლოეს მომავალში თავად დაასახელებს. კულუარული ინფორმაციით, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეობის სავარაუდო კანდიდატებად სახელდებიან საქართველოს ელჩი შვეიცარიაში ვალერი ჩეჩელაშვილი და საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის სალომე ზურაბიშვილის მოადგილეები - კოტე ქავთარაძე და ლევან ბოძაშვილი. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა გუშინ ნატო-ს სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში რობერტ სიმონსი მიიღო. როგორც გელა ბეჟუაშვილმა შეხვედრის შემდეგ განაცხადა, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებით და ნატოსთან ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმის (IPAP) მიმდინარეობით კმაყოფილია. ბეჟუაშვილის განცხადებით, საქართველოს მთავარ მიზნად კვლავ რჩება ნატო-ში გაწევრიანება და ამ მიზნისკენ საქართველო მიზანმიმართულად მიდის. საგარეო საქმეთა მინისტრს მიაჩნია, რომ საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების საკმაოდ კარგი პერსპექტივა აქვს. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გიორგი ბარამიძე დარწმუნებულია, რომ 2006 წლის ბოლოს საქართველოს ნატო-სთან ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმა (IPAP) ნატო-ში გაწევრიანების გეგმით (MAP) შეიცვლება. როგორც ბარამიძემ გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში, ნატოს სპეციალურ წარმომადგენელთან სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში რობერტ სიმონსთან გამართული შეხვედრის შემდეგ განაცხადა, საქართველო წარმატებით ასრულებს იმ ვალდებულებებს, რაც მან ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წინაშე ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმის მიხედვით აიღო. სახელმწიფო მინისტრის განცხადებით, აღნიშნული გეგმის შესრულების თვალსაზრისით გარკვეული პრობლემები არსებობს, თუმცა, მისივე თქმით, აღნიშნული პრობლემების მოგვარება სავსებით შესაძლებელია. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**ცხინვალი.** სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი ოფიციალური თბილისის ინიციატივას, რომელიც ქართულ-ოსური კონფლიქტის მოსაგვარებლად მოქმედ ფორმატში კორექტივების შეტანასა და მოლაპარაკებათა პროცესში აშშ-ს, ეუთოსა და ევროკავშირის მონაწილეობას ეხება, ცხინვალისათვის მიუღებლად მიიჩნევს. კოკოითის განცხადებით, სამხრეთ ოსეთი შერეული საკონტროლო კომისიის მოქმედ ფორმატს ქართულ-ოსური კონფლიქტის მოსაგვარებლად ოპტიმალურად მიიჩნევს და მასში აშშ-სა და ეუთოს, ისევე, როგორც უკრაინისა და ლიტვის მონაწილეობას, სკეპტიკურად აფასებს. მისივე თქმით, ამ საკითხზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია, რა მიზნით სურს ქართულ მხარეს შერეული საკონტროლო კომისიის ფორმატის შეცვლა და მოლაპარაკებათა პროცესში აშშ-ს, ეუთოსა და ევროკავშირის მონაწილეობა. მისივე შეფასებით, იმის გათვალისწინებით, რომ უკრაინა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკები საქართველოს უტყუარ მხარს და მას იარაღითაც ეხმარებიან, მათ, ისევე როგორც აშშ-ს, კონფლიქტის მოგვარებაში მონაწილეობისა და კონფლიქტის ზონაში ყოფნის მორალური უფლება არა აქვთ. **ინტერპრესნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ახალი ფრაქცია წართმეული "ძეხვის" დაბრუნებას შეეცდება

პირველი გვერდიდან

საინტერესოა ფრაქციის სახელწოდების გენეალოგია. 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების ერთ-ერთ სუბიექტს სახელად "ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატიული ფრონტი" ერქვა. "ვარდების რევოლუციის" შემდეგ, ამ სუბიექტის დასახელების მეორე ნაწილი სადღაც გაქრა. ჰოდა, ახალი ფრაქციის შექმნის ინიციატორებმა თავიანთი არჩევანი სწორედ მმართველი გუნდის მიერ უარყოფილ "დემოკრატიულ ფრონტზე" შეაჩერეს.

**"ნაციონალური მოძრაობა" თავის გზას დაადგა, ჩვენ - ჩვენსას. რისთვისაც ვიბრძოდით და რაზედაც მთავრობამ უარი თქვა, იმ საქმეს ბოლომდე მივიყვანთ,"** - ყოფილი თანამებრძოლებისგან სახელის დასესხებას ოდნავაც არ უკადრისობს კობა დავითაშვილი, რომელიც ფრაქციის პრეზენტაციაზე გუშინ თავის უმცროს ვაჟთან, ბართლომესთან ერთად გამოცხადდა.

ფრაქციის სახელწოდება ლევან ბერძენიშვილსაც მოსწონს. **"ამ სახელწოდებით ხაზს ვუსვამთ ჩვენს რევოლუციურ წარსულს, იმას, რამაც თავის დროზე გაგვაერთიანა,"** - აღნიშნავს იგი.

**"ჩვენს ფრაქციაში ის ხალხი გაერთიანდა, ვისაც შევარდნაძის ხელისუფლებასთან ბრძოლის გამოცდილება გააჩნია. ის პრინციპები, რომელთა დასაცავადაც ხალხი ქუჩაში გამოვიდა, დღეს უკვე იგნორირებულია. ამიტომ, რევოლუციური ოპოზიცია დემოკრატიულ ფრონტს ხსნის,"** - ასე განმარტავს ახალი ფრაქციის შექმნის საჭიროებას მისი ლიდერი დავით ზურაბიშვილი, რომელიც დარწმუნებულია, რომ ფრაქციის რიგები მომავალში კიდევ უფრო გაფართოვდება.

ახალმა ფრაქციამ აირჩია ლოზუნგიც - "ქვეყანა შევარდნაძის ნარჩენების გარეშე". "დემოკრატიული ფრონტის" წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ისინი ხელისუფლებას უსამართლოდ ჩამოაცილეს და, ამდენად, მათი ბრძოლა მორალურად გამართლებულია.

**"2 ნოემბრის საარჩევნო სიას, სააკაშვილის გამოკლებით, ჩვენ ვედექით სათავეში. ხალხმა სწორედ ჩვენ მოგვცა ხმა და არა იმათ, ვინც დღეს მართავს ქვეყანას,"** - ამტკიცებს დავით ბერძენიშვილი.

მის მოსაზრებებს ზვიად ძიძიგური განავრცობს. **"დღევანდელი უმრავლესობის წევრები რევოლუციის შემდეგ ისე ელოდნენ თანამდებობებს, როგორც კატა - ძეხვს. ზურაბ ნოღაიდელი, სავარძლის მიღების მოლოდინში, სულ პარლამენტში იყო ატუზული,"** - ახლო წარსულს უბრუნდება კობა დავითაშვილის თანამებრძოლი.

მიუხედავად იმისა, რომ "რესპუბლიკელები" და "კონსერვატორები" ახალი ფრაქციის შიგნით შემავალ პარტიებს შორის მჭიდრო პარტნიორობასა და თანამშრომლობაზე საუბრობენ, ერთ პარტიად გაერთიანებას ისინი კატეგორიულად გამორიცხავენ.

**"ადგილობრივი არჩევნების მოახლოების კვალობაზე, კოალიციაზე საუბარი დროულია, მაგრამ როგორც "რესპუბლიკელები", ისე "კონსერვატორები" პარტიულ თავისთავადობას შევინარჩუნებთ,"** - აცხადებს კობა დავითაშვილი. თავის მხრივ, "რესპუბლიკელი" ლევან ბერძენიშვილიც ადასტურებს, რომ ახალი ფრაქციის შექმნით, მასში შემავალ პარტიათა შორის არსებული განსხვავებების ნიველირება არ მოხდება.

**"ჩვენს შორის ყოველთვის იყო, არის და იქნება განსხვავებები, კერძოდ - "რესპუბლიკელებსა" და "კონსერვატორების" იმ ნაწილს შორის, რომლებიც "ეროვნულ ძალთა გაერთიანებიდან" მოდიან. ჩვენ პარტიებს კი არ ვაუქმებთ, არამედ მათ კიდევ უფრო გაძლიერებაზე ვიზრუნებთ, ფრაქციის შექმნით მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ საერთო მიზნები გვამოძრავებს,"** - აღნიშნავს ლევან ბერძენიშვილი.

იმ დროს, როდესაც ოპოზიცია თავისი რიგების კონსოლიდაციას ახდენს, უმრავლესობის ზოგიერთი წევრი ერთმანეთს უპირისპირდება. პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზე ორი კომიტეტის თავმჯდომარემ, ნოდარ გრიგალაშვილმა და თამაზ ხიდეშელმა, სერიოზულად იკამათა.

ეს უკანასკნელი საკმაოდ მძიმე ბრალდებას უყენებს განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარეს, როდესაც აცხადებს, რომ ნოდარ გრიგალაშვილს ბუნებრივი რესურსების სფეროში (მინერალური წყალი "ბორჯომი") კერძო ინტერესები ამოძრავებს.

**"დიახ, ამ სფეროში მართლაც მაქვს ინტერესები და ეს სახელმწიფო ინტერესებია,"** - ბრალდებას "ნაწილობრივ ეთანხმება" ბორჯომის მაჟორიტარი დეპუტატი, რომელიც თავისი კოლეგისგან ბოდიშის მოხდას ითხოვს.

**"თუ გრიგალაშვილის კერძო ინტერესებზე საუბრობთ, მაშინ არგუმენტები უნდა დაასახელოთ, თუ არა და, ბატონ ნოდარს ბოდიში მოუხადოთ,"** - თამაზ ხიდეშელს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეც უტევს.

როგორც ჩანს, გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს "შავად" აქვს საქმე: ნოდარ გრიგალაშვილის მიმართ წაყენებული ბრალდების დასაბუთება მას, ალბათ, გაუჭირდება. სამაგიეროდ, შეიძლება დადასტურდეს ეჭვი იმის შესახებ, რომ გარემოს დაცვის კომიტეტის ერთ-ერთი სხდომა საერთოდ არ ჩატარებულა და მის შესახებ ტყუილი ოქმი შედგა. ამ ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, თამაზ ხიდეშელს, ალბათ, თანამდებობის დატოვება მოუწევს.

გრიგალაშვილისა და ხიდეშელის მსგავსად, "სიამტკბილობა" არც ორი სხვა კომიტეტის თავმჯდომარეს - ელენე თევდორაძესა და ლევან ბეჟაშვილს აქვთ. ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ბიუროს სხდომაზე საჯაროდ გამოთქვა უკმაყოფილება იმის გამო, რომ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წარმომადგენელი, კანონპროექტების წარსადგენად, მის კომიტეტში არ ცხადდება. ლევან ბეჟაშვილი გაოცებულია იმის გამო, რომ ამ ბოლო დროს ელენე თევდორაძე მის კომიტეტს სულ უფრო ხშირად ესხმის თავს. იგი თანაფრაქციელს ურჩევს, რომ ტექნიკური ხასიათის საკითხები ერთმანეთთან შეათანხმონ და საჯარო მსჯელობის საგნად არ აქციონ.



პარლამენტის თავმჯდომარემ დადებითად შეაფასა ახალი ფრაქციის შექმნა.

დიმიტრი ავალიანის სვეტი

## ალტერნატიული რევოლუციონერები

ახალი ფრაქციის დაბადების დღე საპარლამენტო უმრავლესობამ მშვიდად ან მოჩვენებითი სიმშვიდით მიიღო. უმრავლესობის ლიდერები კომენტარებში აცხადებენ, რომ "დემოკრატიული ფრონტი" იმდენად განსხვავებულ პოლიტიკურ ძალებს და სახეებს აერთიანებს, რომ საეჭვოა, ამ გაერთიანებას დიდი მომავალი ჰქონდეს.

შესაძლებელია, ეს ასეცაა და ფრაქციამ, რომელიც, მაგალითად, აერთიანებს ლევან ბერძენიშვილს და ბეჟან გუნავას, ასეთი სახით დიდხანს ვერ გაძლოს. ისევე როგორც დიდხანს ვერ გაძლო ახალი ფრაქციის ძირითადი სახეების - ბერძენიშვილების, ძიძიგურისა და დავითაშვილის ერთიანობამ ბექაურთან, კირკიტაძესთან და ა. შ.

დავით ზურაბიშვილის არჩევა ფრაქციიის ხელმძღვანელის პოსტზე არა მხოლოდ იმიტომ მოხდებოდა, რომ იგი პარტიული თვალსაზრისით ნეიტრალური პიროვნებაა, არამედ იმიტომაც, რომ მან საპარლამენტო უმრავლესობა ახლახან დატოვა. ეს, შესაძლოა, გარკვეული გამოწვევა იყოს უმრავლესობისთვის და - მინიშნება იმ პარლამენტარებისთვის, რომლებიც, ოპოზოციონერების თქმით, მათთან გადმოსვლაზე ფიქრობენ.

ახალი ფრაქციის შექმნით რევოლუციური ერთიანობის რღვევამ ოფიციალური სახე მიიღო. 2003 წელს რევოლუციის დროშის ქვეშ უამრავი სხვადასხვაგვარი და სხვადასხვა ინტერესების მქონე ძალა და სახე გაერთიანდა. მათი დაქსაქსვა მხოლოდ დროის საკითხი იყო და რევოლუციის ბირთვს მისი აქტიური და პოპულარული სახეები თანდათან შემოეცალნენ. ზოგი სკანდალურად, როგორც დღევანდელი "კონსერვატორების" შემთხვევაში, ზოგიც ნაკლებად ხმაურიანად, როგორც "რესპუბლიკელები".

"ალტერნატიული რევოლუციონერების" ახალი საპარლამენტო გაერთიანების აშკარა პლუსი ისაა, რომ ის ნაკლებად ასოცირდება შევარდნაძესთან და "მოქკავშირთან", მისი ლიდერები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ რევოლუციაში. მინუსი კი ფრაქციის მრავალსუბიექტიანობაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი არსებობაც და მომავალი საქმიანობაც მუდმივი კომპრომისების შედეგი იქნება.

თუმცა, არც უმრავლესობაა მონოლითური და ერთგვაროვანი. ფაქტობრივად, არ არსებობს რაიმე პრინციპი ან პლატფორმა, რომელიც მის წევრებს აერთიანებს, პრეზიდენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების აბსოლუტური ერთგულების გარდა.

საპარლამენტო თუ არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმატება კი უშუალოდ ხელისუფლებაზეა დამოკიდებული. ძალიან ხშირად საზოგადოების სათქმელს ამა თუ იმ მწვავე პრობლემაზე სწორედ ოპოზიცია ახმოვანებს, ხელისუფლების მომხრეები კი ასეთ შემთხვევებში ცდილობენ, ან პრობლემის არსებობა ვერ შეამჩნიონ, ან აღმასრულებელი ხელისუფლების არგუმენტები დაუსრულებლად იმეორონ.

ასეთ პირობებში საზოგადოება, როგორი დამოკიდებულებაც არ უნდა ჰქონდეს მას ცალკეული ფიგურების მიმართ ოპოზოციაში, ადრე თუ გვიან, ჯერ კიდევ გუშინ ნაკლებად პოპულარულ ლიდერებს სულ უფრო მეტად მოუსმენს და მხარსაც დაუჭერს. ასე იწყებოდა სააკაშვილისა და მისი გუნდის ოპოზიციური მოღვაწეობაც. თუ ხელისუფლება ოპოზიციას მისცემს საბაბს სამართლიანი კრიტიკისათვის და იგნორირებას გაუწევს საზოგადოებას, მაშინ, ადრე თუ გვიან, მას ძლიერი ოპოზოცია ეყოლება.

თუმცა, ხელისუფლებამ იცის, რომ მანამდე რამდენიმეწლიანი ფორა აქვს. მაგრამ ეს დროც ხომ გავა?

# ვისთვის - დროებითი გაერთიანება, ვისთვის - სერიოზული ძალა

პირველი გვერდიდან

უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ კი მომხდარში დადებითი ტენდენციები შენიშნა და გუშინ გამართულ ბიუროს სხდომაზე აღნიშნა, რომ, თავის თანაგუნდელებთან ერთად, მიესალმება და პოზიტიურად აფასებს პარლამენტში ოპოზიციური ფრაქციის შექმნას. ამასთან, მზად არის კონსტრუქციული თანამშრომლობისთვის.

**"გვაქვს მოლოდინი იმისა, რომ ისინი შეძლებენ მართლაც კონსტრუქციულად თანამშრომლობას, რაც არავითარ შემთხვევაში კრიტიკას არ გამორიცხავს. მაგრამ კონსტრუქციულობა თავისთავად მოიცავს ძალიან ადეკვატურ რეაქციებს იმ პრობლემებზე, რაც მუშაობის პროცესში იქნება,"** - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

საქართველოს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის სალომე ზურაბიშვილის გეგმებში კი პარლამენტში ახალი ფრაქციის ჩამოყალიბება "არაფერს ცვლის".

ზურაბიშვილის თქმით, იმის გამო, რომ საზოგადოებრივი მოძრაობის დაფუძნებას უახლოეს მომავალში გეგმავს, ამ ეტაპზე მზადაა, ინდივიდუალურად ითანამშრომლოს ყველა პოლიტიკურ ლიდერთან, მათ შორის ახალი ფრაქციის წარმომადგენლებთან.

**"მე არავითარი ექსკლუზივი არ მაქვს. საქართველოში დემოკრატიის გაღრმავებასა და ქვეყნის გაძლიერებასთან დაკავშირებით თუ ჩემი პოლიტიკური მიზნები, პროგრამა და პოლიტიკური პრინციპები უკვე მოქმედ პოლიტიკურ გაერთიანებებს დაემთხვა, მე ყველასთან აუცილებლად ვითანამშრომლებ,"** - ამბობს სალომე ზურაბიშვილი.

ექს-მინისტრის განცხადებით, მისი საზოგადოებრივი მოძრაობის კარი ყველასათვის ღია იქნება და ყველა პარტიასა და საზოგადოებრივ მოძრაობას მასთან ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და აზრის გაზიარების საშუალება ექნება.

"რესპუბლიკური პარტიის" ლიდერი დავით უსუფაშვილი მიუთითებს, რომ ახალი საპარლამენტო ფრაქცია - "საქართველოს დემოკრატიული ფრონტი" - აკეთებს განაცხადს იმის თაობაზე, რომ დემოკრატიის გადასარჩენად მოძრაობა პარლამენტს გარეთაც ფართოდ გაიშლება.

**"გასული კვირის მოვლენები ადასტურებს იმას, რომ "დემოკრატიული ფრონტის" მოძრაობა პარლამენტს გარეთ უფრო ფართო ფორმატის უნდა იყოს,"** - აღნიშნა უსუფაშვილმა.

მისივე თქმით, სალომე ზურაბიშვილის განაცხადი და მის მიმართ მოსახლეობის ნდობის ხარისხი მიანიშნებს იმაზე, რომ პოლიტიკოსებმა მოსახლეობას ადეკვატური მომსახურება უნდა შესთავაზონ.

"მემარჯვენე ოპოზიცია - მრეწველები, ახლები" ახალ დაჯგუფებას თანამშრომლობას ჰპირდებიან. როგორც ჩვენთან საუბარში პარლამენტარმა დავით საგანელიძემ აღნიშნა, შეიძლება, მომავალში ძალზე საინტერესო ურთიერთობები ჩამოყალიბდეს. **"ჩვენთვის ახალ ფრაქციასთან თანამშრომლობის ყველა ფორმა მისაღებია. სწორი იქნება, თუ გავერთიანდებით და საპარლამენტო უმცირესობას ოფიციალურად დავაფიქსირებთ,"** - განაცხადა საგანელიძემ, რომელიც მიესალმება, რომ დეპუტატებმა საკუთარი პირადი ინტერესების თუ ამბიციების უკან გადაწევა და ერთი იდეის გარშემო გაერთიანება მოახერხეს.

ფრაქცია "დამოუკიდებელი მაჟორიტარების" წევრ ნიკო ლეკიშვილს მიაჩნია, რომ "დემოკრატიულ ფრონტში" ნორმალურმა, კარგმა და სერიოზულმა ჯგუფებმა მოიყარა თავი, რაც თავისთავად დადებითი და იმედის მომცემია. თუმცა, რამდენად ძლიერი აღმოჩნდება ახალი ფრაქცია და როგორია მათი სამომავლო პერსპექტივები, ამაზე წინასწარ საუბარი დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარეს უჭირს.

**"ხელისუფლებისთვისაც ცუდი არ არის ასეთი ოპოზიციური ფრაქციის ჩამოყალიბება. უმრავლესობა გაცილებით ორგანიზებული იქნება,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბარში ლეკიშვილმა. ყველაზე გასახარი კი მისთვის ის არის, რომ შეკრებილია სერიოზული ინტელექტუალური ძალა, რომელსაც პარლამენტს გარეთ მყოფი მათი მხარდამჭერი გუნდები უმაგრებენ ზურგს.

## საქართველოში ნავთობის მოპოვება შემცირდა

მიმდინარე წლის განმავლობაში საქართველოში ნავთობის მოპოვება შემცირდა. ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სააგენტოს ინფორმაციით, მიმდინარე წლის ცხრა თვეში მოპოვებული ნავთობის მოცულობამ 49 825 ტონა შეადგინა, რაც 36,8 პროცენტით ნაკლებია გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე. მათ შორის, 55 პროცენტით აქვს შემცირებული ნავთობის მოპოვება ბრიტანულ კომპანია "ნინოწმინდას", რომელმაც 2005 წლის ცხრა თვეში 18 684 ტონა ნავთობი მოიპოვა. "ნინოწმინდას" მიერ 2004 წლის იგივე პერიოდში მოპოვებული ნავთობის მოცულობამ 42 252 ტონა შეადგინა. ამერიკულმა კომპანია "ფრონტერამ" წელს ცხრა თვეში 4 298 ტონა ნავთობი მოიპოვა, რაც 5,7 პროცენტით არის შემცირებული გასული წლის შესაბამის მაჩვენებელზე. სახელმწიფო კომპანია "საქნავთობის" მიერ 2005 წლის ცხრა თვეში მოპოვებულმა ნავთობის მოცულობამ 9 653 ტონა შეადგინა, რაც 13,8 პროცენტით აღემატება 2004 წლის შესაბამის მაჩვენებელს. კომპანიამ საქნავთობი-კანარგო "სამგორი", რომელმაც ქართულ-შვეიცარიული კომპანია "NPL"-"იორის ველი" ჩაანაცვლა, წელს ცხრა თვეში 17 190 ტონა ნავთობი მოიპოვა, რაც 22,5 პროცენტით აღემატება გასული წლის შესაბამის მაჩვენებელს. კომპანია "იორის ველმა", რომელიც საქართველოში ნავთობის მოპოვებას 2004 წლის აპრილის შემდეგ აღარ აწარმოებს, გასული წელს 9 567 ტონა ნავთობი მოიპოვა. ნავთობის საშუალო დღიურმა მოპოვებამ მიმდინარე წელს საქართველოში 183 ტონა შეადგინა, რაც გასული წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით 36,5 პროცენტით არის შემცირებული. როგორც ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელ სააგენტოში საინფორმაციო სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენ"-ს განუცხადეს, ნავთობმოპოვების შემცირება ჭაბურღილების გაწყლიანებასა და სხვადასხვა ტექნიკურ მიზეზებს უკავშირდება. შემცირების ძირითადი წილი (55 პროცენტი) კომპანია "ნინოწმინდაზე" მოდის. როგორც სააგენტოში აცხადებენ, "ნინოწმინდის" ნავთობსაბადო, რომელზეც აღნიშნული კომპანია 1995 წლიდან მუშაობს, დამუშავების ბოლო სტადიაშია. საბადო საკმაოდ მოძველებულია, რადგან აქედან ნავთობის მოპოვება ჯერ კიდევ 70-იანი წლებიდან ხორციელდება და ნავთობის მარაგები იქ თითქმის ამოწურულია.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# ვის რამდენი დაუჯდა შუალედური არჩევნები

პირველი გვერდიდან

ცესკო ევროპის საბჭოს მიერ წარმოგზავნილი ექსპერტის რეკომენდაციებს ითვალისწინებს და პარლამენტში კენჭისყრა-ხმის დათვლის პროცედურების გამარტივებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის გაძლიერების ინიციატივით შესვლას აპირებს. **"ისეთი საარჩევნო კოდექსის პირობებში, როგორიც თქვენს ქვეყანაშია, ცესკო არჩევნებს კარგად ვერ ჩაატარებს. კენჭისყრისა და ხმის დათვლის უაღრესად გართულებული პროცედურები ისე ღლის ადამიანს, შეიძლება, უნებლიე შეცდომა მოუვიდეს,"** - ასეთი დასკვნა გამოიტანა ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის ექსპერტმა ბერნარ ოუენმა ოთხ საარჩევნო უბანზე დაკვირვების შემდეგ. როგორც ცესკო-ს ხელმძღვანელი გია ქავთარაძე აცხადებს, საარჩევნო ადმინისტრაციის ინსტიტუციური მოწყობა არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემაა. **"საარჩევნო ოლქებში დარღვევებს ვაფიქსირებთ, მაგრამ უფლება არ გვაქვს, კანონის დამრღვევი გავათავისუფლოთ,"** - აცხადებს ქავთარაძე. მიუხედავად ამისა, ცესკო-ს ხელმძღვანელობამ გარკვეული სადამსჯელო ღონისძიებების გატარება მაინც მოახერხა.

გასული კვირის ბოლოს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, პირველ ოქტომბერს ჩატარებული შუალედური არჩევნების შედეგების შესაჯამებლად, ხუთივე საარჩევნო ოლქის კომისიის წევრებს შეხვდა და თბილისში დაბრუნდა "შავი სიით", რომელშიც მოხვედრილი 20 ადამიანი არჩევნებში მონაწილეობას ველარასოდეს მიიღებს. ეს ის პირები არიან, ვისაც ბიულეტენზე ბეჭდის დარტყმა ან ხელმოწერა "გამორჩა".

საარჩევნო სისტემაში არსებული პრობლემების ფონზე, უცხოელი ექსპერტები ცესკო-ს საქმიანობას დადებითად აფასებენ, რასაც ვერ ვიტყვით რეფერენდუმის საინიციატივო ჯგუფებზე. უახლოეს მომავალში ცენტრალური საარჩევნო კომისია კიდევ ერთხელ წარდგება სასამართლო პროცესზე. 23 მოქალაქისგან შემდგარი საინიციატივო ჯგუფი (კაკო ასათიანი, ირაკლი მელაშვილი, ვახტანგ ხმალაძე, რევაზ შავიშვილი...), რომელსაც ცესკო-მ რეფერენდუმის ჩატარებაზე ("თანახმა ხართ თუ არა, რომ საქართველოს ყველა ქალაქის, დაბის, თემისა და სოფლის (რომელიც არ შედის თემში) მერი და გამგებელი პირდაპირი არჩევნებით აირჩიოს ამ ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობამ?") უარი განუცხადა, ცესკო-ს გადაწყვეტილების გასაჩივრებას მეორედ აპირებს. ახლახან საინიციატივო ჯგუფის სარჩელი თბილისის სასამართლოს ადმინისტრაციულმა პალატამ განიხილა და ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საინიციატივო ჯგუფის განცხადების ხელახალი განხილვა დაავალა. **"მართალია, სასამართლოსგან ასეთი გადაწყვეტილებაც კი მოულოდნელი იყო, მაგრამ ჩვენ განცხადების ხელახალ განხილვას კი არა, რეფერენდუმის ჩატარების უფლებას ვითხოვდით. გადაწყვეტილებას ზემდგომ სასამართლოში გავასაჩივრებთ,"** - აცხადებს საინიციატივო ჯგუფის წევრი აკაკი ასათიანი.

## პარლამენტი "მილენიუმის ხელშეკრულების" რატიფიცირებას გეგმავს

პარლამენტი ახლო მომავალში "მილენიუმის ხელშეკრულების" რატიფიცირებას აპირებს, რომელიც აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მხრიდან საქართველოსთვის, დახმარების სახით, 300 მლნ დოლარის გამოყოფას ითვალისწინებს. როგორც პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძემ ორშაბათს გამართულ სხდომაზე განაცხადა, ხელშეკრულების რატიფიცირებამდე აუცილებელია, პარლამენტმა დადგენილების სახით მიიღოს დოკუმენტი, რის საფუძველზეც უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ამ პროექტის განხორციელებას გააკონტროლებს. მისი თქმით, პარლამენტის საზედამხედველო ფუნქციის შესაბამისად, შესაძლოა, შეიქმნას სპეციალური ჯგუფი, რომელიც საპარლამენტო უმრავლესობაში საგანგებო კონსულტაციების შემდეგ დაკომპლექტდება. "მილენიუმის ხელშეკრულების" საფუძველზე გაწეული დახმარება საქართველოს რეგიონების განვითარებასა და მოსახლეობის სოციალური პრობლემების დაძლევას ითვალისწინებს.

*პრაიმ-ნიუსი*

# ვინ იყიდის "მადნეულს"?

სს "მადნეულის" ახალი მფლობელის ვინაობა, შესაძლოა, დღეს საღამოს გახდეს ცნობილი. გუშინ, გვიან საღამოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ საწარმოთი დაინტერესებულ პირთა განაცხადების მიღება დაასრულა, დღეს დილით კი, "მადნეულის" გაყიდვის მიზნით, სამინისტროში კონკურსი გაიმართება.

როგორც "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრისთვის" გუშინ გვიან გახდა ცნობილი, "მადნეულის" ყიდვის სურვილი ორმა კომპანიამ გამოთქვა. ქართულმა შპს "ენერჯი და ინდუსტრი კომპანიამ" და ინგლისურმა "კანტონ ეგვითის კორპორაციამ".

შეგახსენებთ, რომ იყიდება "მადნეულის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციათა პაკეტის 97,25 პროცენტი, ანუ 12 830 195 ცალი ერთდოლარიანი აქცია და მასთან ერთად შპს "ტრანს ჯორჯიან რესურსის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 50-პროცენტიანი წილი. მათი საწყისი გასაყიდი ფასი 32 მილიონ 500 000 ამერიკული დოლარია.

ორივე ობიექტზე კონკურსი ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ მიმდინარე წლის 21 სექტემბერს გამოაცხადა.

სააქციო საზოგადოება "მადნეული" ბოლნისის რაიონში, დაბა კაზრეთში მდებარეობს. მისი საქმიანობა სასარგებლო წიაღისეულის, კერძოდ, სპილენძის შემცველი მადნების - სპილენძის კონცენტრატის მოპოვება, დამუშავება და რეალიზაციაა. შპს "ტრანს ჯორჯიან რესურსის" პროფილი კი სასარგებლო წიაღისეულის მძიმე მადნების კვლევა-ძიებაა.

"მადნეულის" დებიტორული დავალიანება 43 614 831 ლარია, ხოლო კრედიტორული - 28 702 266 ლარი. საკონკურსო პირობების თანახმად, მადნეულის" მყიდველმა საპრივატიზაციო თანხის 50 პროცენტი 2005 წლის 15 ნოემბრამდე, ხოლო დანარჩენი - 2005 წლის 15 დეკემბრამდე უნდა დაფაროს.

საკონკურსო პირობების მიხედვით, ს/ს "მადნეულის" მყიდველმა საქმიანობის პროფილი 3 წლის განმავლობაში უნდა შეინარჩუნოს, ასევე, სავალდებულოა სამი წლის განმავლობაში საწარმოში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა სამუშაო ადგილებისა და სახელფასო ფონდის შენარჩუნება.

ლიცენზიისა და წიაღით სარგებლობის საპროექტო მახასიათებლების დაცვის, მათი გაუმჯობესებისა და არსებული დარღვევების აღმოფხვრის, გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების მაქსიმალურად თავიდან აცილების მიზნით, საკონკურსო პირობების მიხედვით, მყიდველმა გარემოს დაცვისა და წიაღით სარგებლობის კანონმდებლობის, აგრეთვე, აღნიშნული კანონმდებლობით დადგენილი ნორმების მოთხოვნათა შესრულება უნდა უზრუნველყოს.

*24 საათი*

Kuzanov Clinic კუზანოვის კლინიკა

ქართულ-ამერიკული რეკონსტრუქციულ-პლასტიკური და ესთეტიკური ქირურგიის კლინიკა; ლაზერული ცენტრი; თვალის სრული დიაგნოსტიკა და ქირურგია; სტომატოლოგია; კოსმეტოლოგია.

გამსახურდიას გამზ. N5
ტელ: 424-005, 8(99) 703-703
www.kuzanov.com
იქ, სადაც სილამაზე იქმნება.

## თავდასხმა უცხოელ ჟურნალისტებზე



*ბაღდადში სასტუმროებს აფეთქებენ.*

ბაღდადში ორშაბათს გამთენიისას აფეთქების ხმა იმ ორ სასტუმროსთან გაისმა, სადაც უცხოელი ჟურნალისტები ცხოვრობდნენ. რამდენიმე წუთში მას არანაკლებ ძლიერი კიდევ ერთი აფეთქების ხმა მოჰყვა, ოღონდ ამჯერად ტერორისტების სამიზნე უკვე პოლიციის განყოფილება და მაშველთა რაზმის შტაბი იყო.

ერაყელ სამართალდამცველთა განცხადებით, აფეთქებები მანქანებში დამონტაჟებული ბომბების ამოქმედებამ გამოიწვია. თუმცა, გაცილებით მეტს ჰყვებიან ზემოაღნიშნულ სასტუმროებში მცხოვრები ის ჟურნალისტები, რომლებიც სასწაულით გადაურჩნენ სიკვდილს. მედიის წარმომადგენელთა თქმით, მანქანებში დამონტაჟებული ასაფეთქებელი მოწყობილობების ამოქმედებას თან ერთვოდა სარაკეტო იერიშიც.

ტერორისტთა ქმედებებს, ოფიციალურად გავრცელებული ინფორმაციით, 11 ადამიანი ემსხვერპლა.

გაცილებით მეტი იყო მსხვერპლი კვირას ერაყის ცენტრალურ ნაწილში მომხდარი აფეთქებებისას. ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, ტერორისტთა ქმედებებს კვირას 24 ადამიანი ემსხვერპლა. თუმცა, როგორც ცნობილია, ამ ქვეყანაში ტერორისტთა საქმიანობა მხოლოდ აფეთქებებით არ შემოიფარგლება, ერაყში ასევე ხშირია პირდაპირ ქუჩაში ცეცხლსასროლი ავტომატური იარაღით მშვიდობიანი მოქალაქეების, პოლიციელებისა თუ უცხოელი სამხედრო მოსამსახურეების მოკვლაც. არასაბრძოლო ვითარებაში დაღუპულ უცხოელ სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობა არანაკლებ საგანგაშოა უშუალოდ ომში დაღუპულ დაქირავებული სამხედროების რიცხვობრივ მონაცემებზე. თუმცა, როგორც ერაყის პოლიციის მონაცემთა ბაზაც მოწმობს, უკეთ დაცული ქვეყანაში არც სადამ ჰუსეინის რეჟიმის ჩამოგდების შემდეგ ხელისუფლებაში მოსული ადგილობრივი მცხოვრებნი არიან.

*24 საათი*

### მოკლედ

#### უკრაინის მეტალურგიული გიგანტი გაიყიდა

უკრაინაში 4,8 მილიარდ დოლარად გაიყიდა ამ ქვეყნის უმსხვილესი მეტალურგიული კომბინატი "კრივოროჟსტალი". გუშინ გამართულ აუქციონზე ხსენებული თანხის გადახდა ივალდებულა ბრიტანეთ-ინდოეთის კომპანიამ "მიტალ სტილმა", რომელიც მსოფლიოში ფოლადის უმსხვილეს მწარმოებლად ითვლება. "კრივოროჟსტალის" გაყიდვის ფაქტი ასე შეაფასა უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ: **"ის, რაც დღეს მოხდა, ადასტურებს, რომ უკრაინას ძალუძს პატიოსანი პრივატიზაციის განხორციელება ყველა იურიდიული პროცედურის დაცვით. უარაინის სახელმწიფომ საკუთარი არსებობა დაამტკიცა."**

მეტალურგიული კომბინატი "კრივოროჟსტალი" შარშან ორმა უკრაინელმა მეწარმემ შეიძინა: რინატ ახმეტოვმა და ვიქტორ პინჩუკმა (ეს უკანასკნელი ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტის ლეონიდ კუჩმას სიძეა). ხელისუფლების სათავეში ვიქტორ იუშჩენკოს მოსვლის შემდეგ სასამართლომ უკანონოდ ცნო "კრივოროჟსტალის" პრივატიზაცია.

*რადიო თავისუფლება*

#### "ფრინველის გრიპი" რუსეთის რეგიონებს იპყრობს

"ფრინველის გრიპის" შემთხვევები უკვე რუსეთის ხუთ რეგიონში აღირიცხა. ახალი კერა აღმოჩენილ იქნა ტამბოვის ოლქის მორშანის რაიონში. ერთ-ერთ სოფელში შემოღებულია კარანტინი. ათობით იხვი და ბატი დახოცეს. ალტაის მხარის სოფელ პოკროვკაში, ორკვირიანი შესვენების შემდეგ, კვლავ შემოიღეს კარანტინი, რაც შინაური ფრინველის დახოცვას უკავშირდება. დაავადების კერები აღმოჩნდა, აგრეთვე, ტულის, კურგანისა და ჩელიაბინსკის ოლქებში. როგორც ექსპერტები აცხადებენ, აღმოჩენილი ვირუსის ეს ნაირსახეობა ადამიანის ჯანმრთელობისთვის სახიფათო არ არის.

*რადიო თავისუფლება*

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
**მსოფლიო ბანკის კრედიტი N 3701-GE**
**მოწვევა ინტერესის გამოსახატავად საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობაში მონაწილეობაზე**

თბილისის წყალმომარაგების სისტემის აღდგენითი სამუშაოები მდინარე არაგვის აუზში

1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს ინტერესის გამოსახატავად საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობაში მონაწილეობისათვის, რომელიც შეეხება მდინარე არაგვის აუზში თბილისის წყალმომარაგების სისტემის აღდგენითი სამუშაოების წარმოებას. საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობა ჩატარდება მსოფლიო ბანკის შესყიდვების პროცედურების შესაბამისად.

2. სამუშაოები მოიცავს: ა) ჟოპორტის წყალსაცავის გაწმენდით სამუშაოებს; ბ) ნატახტრის ახალ წყალსადენში არსებული № 1, 2, 3, 4 სალექრების, საინფილტრაციო მოედნების, სადრენაჟო მილდენების სარეაბილიტაციო სამუშაოებს და შემოვლითი ნედლი წყლის მილდენის მოწყობის სამუშაოებს; გ) მისაქციელის დამცავი დამბის აღდგენით სამუშაოებს; დ) ჟოპორტის წყალსადენის წყალმიმღების და დამცავი დამბის აღდგენით სამუშაოებს; ე) საგურამოს წყალსაცავის დამცავი დამბის აღდგენით სამუშაოებს; ვ) აბანოსხევის დამცავის დამბის აღდგენით სამუშაოებს. სამუშაოების განხორციელება დაგეგმილია 2005 წლის დეკემბრის დასაწყისიდან 2006 წლის მარტის ბოლომდე.

3. სატენდერო დოკუმენტაცია გამოცემულ იქნება 2005 წლის 1 ნოემბერს. საკონკურსო დოკუმენტაცია ინგლისურ ენაზე კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეუკვეთონ უსასყიდლოდ მუნიციპალური განვითარების ფონდში ქვემოთ მოცემულ მისამართზე ინტერესის გამოხატვის წერილის მოწოდებით. სატენდერო დოკუმენტები გამოცემისთანავე გაეგზავნება ფოსტით მოთხოვნილ მისამართზე ყველა იმ ფირმას, რომლებიც გამოხატავენ ინტერესს. თუკი ფირმა მოითხოვს საკურიერო მომსახურებას, დოკუმენტები გაიგზავნება საკურიერო ფოსტით მიმღების ხარჯზე.

4. საკონკურსო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადა იქნება 2005 წლის 28 ნოემბერი. საკონკურსო წინადადებების წარმოდგენის ზუსტი დრო და წინადადების საბანკო გარანტიის ოდენობა მითითებული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში.

5. დაინტერესებულმა ფირმებმა უნდა მოაწოდონ ინტერესთა გამოხატვის წერილები და შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ქვემოთ მითითებულ მისამართზე:

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
იეთიმ გურჯის ქ. № 7 ბ, თბილისი 0105
ტელ: 94-32-40, 94-29-47, 92-34-70, 92-34-69
ფაქსი: 94-04-39
ელ-ფოსტა: MDF@MDF.ORG.GE

# გაწევრიანების რეალური პერსპექტივა და სუბიექტური შენიშვნები

პირველი გვერდიდან

**"ჩვენ დიდად ვაფასებთ საქართველოს სწრაფვას ევროატლანტიკურ ინსტიტუტებში გაერთიანებისკენ,"** - ასე დაიწყო საუბარი საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრის შემდეგ ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში რობერტ სიმონსმა.

რობერტ სიმონსი თბილისს გუშინ ეწვია და თითქმის ყველა წამყვან პოლიტიკოსთან გამართავს მოლაპარაკებებს. პროგრამის თანახმად, სპეცწარმომადგენელი უკვე შეხვდა საქართველოს პრეზიდენტს, თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრებს, ასევე ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრს გიორგი ბარამიძეს. დღეს და ხვალ გაიმართება შეხვედრები პოლიტიკურ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

ვიზიტის მიზანია საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის (IPAP) მიმდინარეობის შეფასება. თავად ბატონი სიმონსის თქმით, - **"ამჟამინდელი ვიზიტის მიზანია ერთობლივი სამუშაოს შეფასება და იმ კრიტიკული მოსაზრებების ერთად განხილვა, რომელიც IPAP-თან დაკავშირებით გაჩნდა".**

ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმას გასულ წელს მოეწერა ხელი. ეს გეგმა გაწერილია 2007 წლის დასაწყისამდე. გეგმის ფარგლებში ასევე შესამუშავებელია თავდაცვითი სისტემის სტრატეგიული მიმოხილვა, რომლითაც საბოლოოდ უნდა გამოიკვეთოს, რა ტიპის ჯარი სჭირდება ქვეყანას. თავიდანვე, სტრატეგიული მიმოხილვის დასრულება დაახლოებით 2005 წლის ბოლომდე უნდა მომხდარიყო. თუმცა, გაკეთებული განცხადებებით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოსა და ალიანსს შორის აზრთა სხვადასხვაობა საკამოდ არსებობს.



*რობერტ სიმონსი თითქმის ყველა წამყვან პოლიტიკოსთან გამართავს მოლაპარაკებებს.*

მაინც რა პრობლემები აქვს საქართველოს IPAP-თან დაკავშირებით? საქმე ისაა, რომ ამ გეგმას ნატო არ გვახვევს თავს, პირიქით, იგი მთლიანად ქართულმა მხარემ მოამზადა და შესთავაზა ნატო-ს, რითაც გამოხატა მზადყოფნა, განახორციელოს რეფორმები და ეს მისაღები აღმოჩნდა ნატო-სთვის. ორგანიზაციამ მოიწონა ეს გეგმა. აღინიშნა, რომ ეს სწორედ ის რეფორმებია, რომელიც აუცილებლად უნდა გატარდეს ნატო-ში საქართველოს ინტეგრაციის გზაზე.

ასე რომ, უცნაურია საგარეო საქმეთა მინისტრის გუშინდელი განცხადება, რომ **"ნატო-ს მიერ IPAP-ის დოკუმენტში შენიშვნები იყო, არის და იქნება."** მით უმეტეს უცნაურია, საგარეო უწყების ხელმძღვანელის გამონათქვამი ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმული შენიშვნების სუბიექტურ ხასიათზე. **"ზოგი შენიშვნა არის სუბიექტური, ამიტომ ჩვენ ვუხსნით, რომ ეს არასწორად არის გაგებული. საერთოდ ეს არის დიალოგის პროცესი. აქ არ არის ისეთი პრობლემა, რომელსაც საქართველო და მისი ხელისუფლება ვერ გადაწყვეტს,"** - ამბობს გელა ბეჟუაშვილი.

საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, ქართული მხარე გააფართოებს თავის მისიას ბრიუსელში, ნატო-ს შტაბ-ბინაში. ასევე საგარეო საქმეთა სამინისტროში შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც ყოველდღიურ კონტროლს განახორციელებს ნატოსთან ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის (IPAP) მიმდინარეობაზე.

**"მთავარი მიზანი ჩვენი (საქართველოს ხელისუფლების) საგარეო და საშინაო პოლიტიკის არის ნატოში გაწევრიანება,"** - განაცხადა გელა ბეჟუაშვილმა. საგარეო საქმეთა მინისტრს არც იმის აღნიშვნა დავიწყნია, რომ ქვეყნის ნატო-ში გაერთიანებას ხელს ვერ შეუშლის მოუგვარებელი კონფლიქტებიც. მინისტრის თქმით, - **"ქვეყანას აქვს კონკრეტული, ძალიან პრაგმატული წინადადებები კონფლიქტების მოგვარების მიზნით, სწორედ ეს არის ალიანსში საქართველოს პარტნიორებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი".**

მიუხედავად "სუბიექტური შენიშვნებისა", საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ ნატო კმაყოფილია საქართველოს მიერ ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის - IPAP-ის შესრულებით. თუმცა, იქვე რობერტ სიმონსმაც აღნიშნა, რომ გარკვეული პრობლემები ამ გეგმის რეალიზაციასთან დაკავშირებით საქართველოს მაინც აქვს. რობერტ სიმონსის თქმით, აღნიშნული პრობლემების მოგვარებას ნატო და საქართველო ერთობლივი კონსულტაციების შედეგად შეეცდებიან. სიმონსის თქმით, ეს კონსულტაციები, ფაქტობრივად, უკვე მიმდინარეობს.

გუშინ რობერტ სიმონსი სახელმწიფო კანცელარიაში ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრს გიორგი ბარამიძესაც შეხვდა. გიორგი ბარამიძე დარწმუნებულია, რომ 2006 წლის ბოლოს საქართველოს ნატოსთან ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმა (IPAP) ნატო-ში გაწევრიანების გეგმით (MAP) შეიცვლება. რობერტ სიმონსთან გამართული შეხვედრის შემდეგ სახელმწიფო მინისტრმა განაცხადა, რომ საქართველო წარმატებით ასრულებს იმ ვალდებულებებს, რაც მან ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წინაშე ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმის მიხედვით აიღო. სახელმწიფო მინისტრის განცხადებით, აღნიშნული გეგმის შესრულების თვალსაზრისით გარკვეული პრობლემები არსებობს, თუმცა, მისივე თქმით, აღნიშნული პრობლემების მოგვარება სავსებით შესაძლებელია.

26 ოქტომბერს რობერტ სიმონსი სასტუმრო "მარიოტში" სპეციალურ შემაჯამებელ პრესკონფერენციას გამართავს.

# რუსეთი ირანთან მოლაპარაკებით კმაყოფილია

## ირანი კი კასპიის ზღვის კონსენსუსის საფუძველზე გაყოფას ითხოვს

ხათუნა გაბიევი

ნიუ-იორკში 2005 წლის სამიტზე ირანის ისლამური რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტების შეხვედრის შემდეგ, მოლაპარაკებათა მაგიდას ამჯერად უკვე ამ ორი ქვეყნის საგარეო უწყებათა მეთაურები მიუსხდნენ. თანაც სამიტისაგან განსხვავებით, სადაც საკითხთა ფართო სპექტრი იქნა განხილული, პოლიტიკური დიალოგი ახლა უფრო კონკრეტული იყო და მხოლოდ ორი ქვეყნის ურთიერთობას ეხებოდა.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა შეხვედრის დასაწყისშივე აღნიშნა ორ ქვეყანას შორის უკანასკნელ ხანს ინტენსიური პოლიტიკური დიალოგის დადებითი ეფექტი.

**"ჩვენ კმაყოფილნი ვართ ინტენსიური პოლიტიკური დიალოგის განვითარებით,"** - აღნიშნა რუსეთის პირველმა დიპლომატმა.

რასაკვირველია, დიპლომატიურ დონეზე საუბრით რუს კოლეგას არც ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი მანუჩერ მოთაყი ჩამორჩა.

**"ორ დიდ სახელმწიფოს შორის ურთიერთქმედების მაღალ დონეს ჩვენი ამჟამინდელი კონსულტაციებიც ადასტურებს. სწორედ ეს თანამშრომლობაა ჩვენთვის უმთავრესი განმსაზღვრელი საერთაშორისო და რეგიონულ უსაფრთხოებაში,"** - განაცხადა ირანის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა.

მოლაპარაკებათა მორიგი რაუნდის დასრულების შემდეგ, მედიის წარმომადგენლებთან ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის შეხვედრაზე, ერთი საკითხი განსაკუთრებით მოექცა ყურადღების ცენტრში. საკითხი, რომელიც კასპიის ზღვის მონაპირე სახელმწიფოებს ჯერ კიდევ



*მანუჩერ მოთაყი და სერგეი ლავროვი.*

ვერ გადაუწყვეტიათ და შეიძლება ითქვას, დიდი ხანია, სახელმწიფოების დავის საგნად იქცა. საქმე კასპიის ზღვის სამართლებრივ სტატუსს ეხება. ირანი მიიჩნევს, რომ კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსი მხოლოდ კონსენსუსის ბაზაზე უნდა განისაზღვროს და არ უნდა იქცეს არასტაბილურობისა და დაპირისპირების წყაროდ. მოთაყისა და ლავროვის განცხადებით, მათ მიერ მომზადებული პროექტი გაეგზავნება დანარჩენ დაინტერესებულ მხარეებს.

**"ჩვენ განვიხილეთ კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის საკითხი და ამ აუზში ორმხრივი თუ მრავალმხრივი თანამშრომლობის განვითარების გზები,"** - აღნიშნა ირანელმა მინისტრმა და იქვე ისიც დაამატა, რომ უსაფრთხოების საუკეთესო ფორმით უზრუნველყოფისთვის რეგიონულ ძალთა ძალისხმევაა საჭირო.

# პოლონეთში ტყუპების მმართველობა იწყება

პოლონეთში ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებში ვარშავის ყოფილმა მერმა და ლეხ კაჩინსკიმ გაიმარჯვა.

ხმების დათვლის შემდეგ, საპრეზიდენტო მარათონის მეორე ტურში, კაჩინსკიმ მოწინააღმდეგე დონალდ ტუსკს, რომელიც ლიბერალური პარტიის წარმომადგენელია, ხმათა 90 პროცენტით აჯობა. გამარჯვებულს ხმა ამომრჩეველთა 54,47 პროცენტმა მისცა, ხოლო მის კონკურენტს 45,53 პროცენტმა.

შედეგი მოულოდნელი იყო, რადგან საარჩევნო მარათონის პირველ ტურში ტუსკმა ხმების 36 პროცენტი, ხოლო კაჩინსკიმ 33 პროცენტი დააგროვა. პოლონეთის საარჩევნო კომისიის ცნობით, ამომრჩეველთა 50,91 პროცენტი გამოცხადდა.

აღსანიშნავია, რომ გასულ თვეში გამართულ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება ლეხ კაჩინსკის პარტიამ "სამართალი და სამართლიანობა" მოიპოვა. რაც მთავარია, პარტიას ხელმძღვანელობს პრეზიდენტობის მარათონში გამარჯვებული კანდიდატის ტყუპისცალი ძმა - იაროსლავ კაჩინსკი. ასე რომ, ამიერიდან პოლონეთის როგორც აღმასრულებელ, ასევე საკანონმდებლო ორგანოს ძმები გააკონტროლებენ.



*ლეხ და იაროსლავ კაჩინსკები.*

პოლონეთის კანონმდებლობის მიხედვით, მთავრობას პრეზიდენტთან კონსულტაციების შემდეგ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული პარტია აკომპლექტებს. ბუნებრივია, პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის პოსტზე ტყუპების აღმოჩენა გარკვეულ უხერხულობებს შექმნიდა. ალბათ, ამის გამო იყო, რომ საპრეზიდენტო არჩევნების წინ იაროსლავ კაჩინსკიმ პირობა დადო - ძმის გამარჯვების შემთხვევაში იგი უარს იტყოდა მთავრობის მეთაურობაზე და სხვა თანაპარტიელს დაუთმობდა.

*24 საათი*

# კონსულტაციების - "უკრაინა-ნატო" - შედეგები

ლიტვის დედაქალაქში ორშაბათს ერთდღიანი კონსულტაციები ჩატარდა ნატო-ში უკრაინის ინტეგრაციის პერსპექტივებთან დაკავშირებით. შეხვედრას ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალური მდივანი იაპ დე ჰუპ სხეფერი, უკრაინის თავდაცვის მინისტრი ანატოლი გრიცენკო და ლიტვისა და აშშ-ს თავდაცვის უწყებების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ თავად სხეფერს გაუჭირდა, ალიანსში უკრაინის მომავალი გაწევრიანების სავარაუდო ვადები დაესახელებინა, უკრაინის თავდაცვის უწყების მეთაური საკმაოდ ოპტიმისტურად ჩანდა განწყობილი. ანატოლი გრიცენკოს თქმით, უმთავრესი ბარიერი, რისი დაძლევაც უკრაინას 2008 წლამდე მოუწევს (სწორედ ამ დროისთვის ვარაუდობენ უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლები ჩრდილოატლანტიკურ ორგანიზაციაში გაწევრიანებას), ალიანსისადმი სტერეოტიპული საბჭოური წარმოდგენის მსხვრევაა.

უკრაინულ ოპტიმიზმს, როგორც ჩანს, ლიტვის თავდაცვის მინისტრი გედიმინას კირკილასიც იზიარებს. ამ უკანასკნელის თქმით, უკრაინის თავდაცვის სფეროში მიმდინარე რეფორმები სავსებით დამაკმაყოფილებელია ამ ეტაპზე და თუ ქვეყანა ანალოგიური ტემპით განაგრძობს მის განხორციელებას, უკვე ორ წელიწადში თავდაცვის სისტემა ნატო-ს კრიტერიუმების შესაბამისი იქნება. თავდაცვის სფეროში რეფორმების წარმატებულობაზე ისაუბრა ნატო-ს გენერალურმა მდივანმაც მოგვიანებით გამართულ პრესკონფერენციაზე.

დასასრულ, კონსულტაციების - სახელწოდებით "უკრაინა-ნატო" - შედეგებზე დაყრდნობით მხარეებმა პროტოკოლიც შეათანხმეს. ამ პროტოკოლით გათვალისწინებულია უკრაინის სამხედრო პერსონალის პროფესიულ დონეზე მამზადებაში ნატო-ს მხარდაჭერის პროგრამის დამტკიცება.

*რიანოვოსტი*

# გამოძიებას ამერიკელები აბრკოლებენ

*ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორები, რომლებიც პენტაგონის პროგრამა "სტაბილურობის შენარჩუნების ოპერაციის" ფარგლებში ქართველ ჯარისკაცებს ამზადებენ, ორი დღის წინ სკანდალში გაეხვნენ, რასაც რუსული მედიაც გამოეხმაურა.*



*ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორები პოლიციამ დააკავა.*

გავრცელებული ინფორმაციით, ორი უცხოელი სამხედრო პირი, გვიან ღამით თბილისში, სასტუმრო "ვარაზთან" საპატრულო პოლიციამ დააკავა. როგორც სასტუმროს დაცვის წევრი აცხადებდა, დაკავებული უცხოელი, რომელიც "ვარაზში" არ ცხოვრობს, იმ ღამეს ნასვამი შევარდა ვესტიბიულში და განაცხადა, რომ მას მისდევდნენ და შემდეგ ჩხუბი ატეხა.

ინციდენიტის მეორე დღესვე "სტაბილურობის შენარჩუნების ოპერაციების პროგრამის" პრესატაშემ ჯონათან მურმა დაადასტურა ღამით, სასტუმრო "ვარაზთან" მომხდარ ინციდენტში ამერიკელი სამხედროების მონაწილეობა და ისიც დასძინა, რომ "სტაბილურობის შენარჩუნების ოპერაციების პროგრამის" ხელმძღვანელობა მომხდარი ინციდენტის დეტალებს იკვლევს და ამასთან დაკავშირებით სპეციალურ განცხადებასაც გააკეთებს.

თუმცა, ვიდრე ამერიკული მხარე მომხდარს საბოლოოდ ახსნიდა, რუსულმა ინტერნეტგამოცემა "უტრო.რუ"-მ ინფორმაცია გაავრცელა, რომ მთვრალმა ამერიკელმა სამხედრო ინსტრუქტორებმა თბილისის ერთ-ერთ სასტუმროში ჩხუბის პროვოცირება სცადეს. მათივე ცნობით, ამერიკელები პატრულმა დააკავა და ისინი საქართველოში აშშ-ს სამხედრო წარმომადგენლობას გადასცეს.

რუსულ მასმედიაში გავრცელებული ინფორმაცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ კატეგორიულად უარყო. როგორც შსს-ს პრესსამსახურის ხელმძღვანელმა გურამ დონაძემ განაცხადა, მსგავს ფაქტს ადგილი საერთოდ არ ჰქონია.

მოგვიანებით კი სასტუმრო "ვარაზთან" 22 ოქტომბერს მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით ქართულ-ამერიკული "სტაბილურობის შენარჩუნების ოპერაციების პროგრამის" (SSOP) პრესსამსახურმა ოფიციალური განცხადება გაავრცელა და ინციდენტში ამერიკელი სამხედროების მონაწილეობა დაადასტურა.

როგორც SSOP -ის პრესატაშე ჯონათან მური განმარტავს, 22 ოქტომბერს, დაახლოებით 11.00 საათზე ამერიკის საჰაერო ძალების ორი ოფიცერი, რესტორან "მარკო პოლოსა" და სასტუმრო "ვარაზის" ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ. მურის განცხადებით, "მარკო პოლოს" მენეჯერმა მოგვიანებით მათ შეატყობინა, რომ ამერიკელი რესტორანში აღელვებული შეიჭრა და პოლიციაში დარეკვას ითხოვდა. იგი აცხადებდა, რომ მისი კოლეგა უცნობებმა სცემეს და გაიტაცეს. პრესატაშეს მიერ გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ შემთხვევის ადგილზე მისულ სამართალდამცველებს **"აღელვებული ოფიცრის დასამშვიდებლად მისთვის დროებით ხელბორკილების დადებაც კი დასჭირდათ, თუმცა არ დაუპატიმრებიათ."**

ჯონათან მურის თქმით, მოგვიანებით "ვარაზის" ტერიტორიაზე "გაუჩინარებული" ოფიცერიც იპოვნეს. საქართველოში ამერიკის საელჩოს პატრულმა ორივე ამერიკელი ოფიცერი საელჩოში გადაიყვანა, სადაც მთელი ღამის განმავლობაში დარჩნენ, 23 ოქტომბერს 12.55 საათზე კი ისინი საელჩოდან კრწანისში, ამერიკულ სამხედრო ბაზაზე წაიყვანეს. იქ მათ დაჟეჟილობებსა და ნაკაწრებზე მსუბუქი მკურნალობა ჩაუტარდათ.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება ამჟამადაც გრძელდება. SSOP-ის პრესატაშე სთხოვს მოქალაქეებს, თუ რაიმე იციან ინციდენტთან დაკავშირებით, დარეკონ ტელეფონის ნომერზე 8 99 61-23-02.

ამერიკელების ინციდენტი საქართველოს თავდაცვის სამინისტროშიც დაადასტურეს, თუმცა ისიც დასძინეს, რომ ინციდენტი ამერიკელი ინსტრუქტორების სამუშაო საათების შემდეგ მოხდა. ამდენად, სამხედრო წესრიგი არ დარღვეულა. თავდაცვის სამინისტროს ცნობით, ხმაური იმ სასტუმროს წინ ატყდა, სადაც თავად ამერიკელი ინსტრუქტორები ცხოვრობენ.

ჩვენი ინფორმაციით, აღნიშნულ ფაქტზე გამოძიება ქართულ მხარეს ამ ეტაპზე არ დაუწყია, ყოველ შემთხვევაში ოფიციალურ განცხადებას ამ საკითხზე არ აკეთებენ.

*24 საათი*

# იმერეთში დამნაშავეთა ძებნა გრძელდება

*მესტიასა და სამტრედიაში რამდენიმე დღის წინ ჩატარებული სპეცოპერაციების გამო, დასვლეთ საქართველოში გამკაცრებული კონტროლია გამოცხადებული.*

შეიარაღებული დაჯგუფების ლიდერის და ექვსი წევრის დაპატიმრების შემდეგ, დაბა მესტიაში, გუშინ სამართალდამცველებმა ცეცხლსასროლი იარაღი უკანონო შენახვისა და პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით კიდევ სამი პირი დააკავეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, დაკავებულები არიან მესტიაში მცხოვრები პირები: 29 წლის ზაზა მიგურიანი, 30 წლის ზეზვა შამფრიანი და 30 წლის ბაჩუკი უშხვანი, რომლებმაც დაკავებისას სამართალდამცველებს წინააღმდეგობა გაუწიეს. პოლიციის ინფორმაციით, ზაზა მიგურიანის ავტომანქანის ჩხრეკისას ავტომატური ცეცხლსასროლი იალალი "აკს"-ი ამოიღეს. აღნიშნულ ფაქტს მესტიის შს სამმართველო იძიებს.

იმერეთის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს სპეცდანაყოფი და სამტრედიის პოლიციის მთლიანი შემადგენლობა კი კვლავ საგანგებო რეჟიმში მუშაობს.

ამის მიზეზი პოლიციელებსა და ყაჩაღებს შორის შაბათს, გვიან ღამით მოხდარი შეტაკებაა, რა დროსაც ორმხრივი სროლების შემდეგ პოლიციელი, სამტრედიელი 28 წლის დავით კვანტალიანი დაიღუპა. გავრცელებული ინფორმაციით, ყაჩაღური დაჯგუფება ოთხი კაცისგან შედგებოდა.

სამართალდამცველები მთელი გუშინდელი ღამის მანძილზე სამძებრო ღონისძიებებს ახორციელებდნენ და ყაჩაღური დაჯგუფების იმ წევრებს ეძებდენ, რომლებმაც ინციდენტის დროს გაქცევა მოახერხეს. სავარაუდოდ, ისინი სამტრედიის რაიონის სოფელ მიწაბოგირაში არიან მიმალულები. გავრცელებული ინფორმაციით, კრიმინალთა დაჯგუფების ყველა წევრი დადგენილია. ასევე ამოცნობილია მამაკაცის გვამი, რომლის ლიკვიდაცია სამართალდამცველებმა ორმხრივი სროლის დროს მოახერხეს. იგი კრიმინალური დაჯგუფების წევრი, სამტრედიაში მცხოვრები ვანო ჯავშეიშვილი აღმოჩნდა. როგორც იმერეთის სამხარეო პოლიციის უფროსმა ლევან კახიანმა განაცხადა, ჯავშეიშვილი წარსულში ნასამართლევი იყო და იგი სასჯელს ყაჩაღობისთვის იხდიდა.

იმერეთის შს მთავარი სამმართველოს უფროსი სამძებრო ღონისძიებებში თავად მონაწილეობს.

*24 საათი*

# საქართველოს მოქალაქე იაკუტიიდან ალმასის გატანას ცდილობდა

რუსული საინფორმაციო სააგენტოების ინფორმაციით, იაკუტიის სამართალდამცველებმა საქართველოს მოქალაქე 382 ალმასის გატანის მცდელობაში ამხილეს. რუსი სამართალდამცველები ქართველი ეჭვმიტანილის ვინაობის დასახელებისგან ჯერჯერობით თავს იკავებენ და აცხადებენ, რომ დაუმუშავებელი ძვირფასი ქვები მილიციის თანამშრომლებმა იმ ტვირთში აღმოაჩინეს, რომელიც ეჭვმიტანილმა ქალაქის აეროპორტის ბარგის შესანახ საკანში გადამალა.

გავრცელებული ინფორმაციით, რუსმა სამართალდამცველებმა საკანი ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე გაჩხრიკეს. სპეცოპერაციის დროს ამოღებული ალმასების საერთო წონა 200 კარატს შეადგენს. ალმასების წარმომავლობა ჯერჯერობით დადგენილი არ არის.

*24 საათი*

# ფოთის პორტში წიდით დატვირთული კონტეინერები დააკავეს

ფინანსური პოლიციის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო და ფოთის სამმართველოს თანამშრომლებმა ფოთის პორტში წიდით დატვირთული 12 კონტეინერი დააკავეს. როგორც ფინანსური პოლიციის სამხარეო სამმართველოს უფროსი გია გუგუჩია აცხადებს, ტვირთი ფოთსა და ზუგდიდში დოკუმენტაციის გაყალბებით არის განბაჟებული, რომლის მიხედვითაც, წიდა ჯართადაა გაფორმებული. იგი ზუგდიდში რეგისტრირებულ ფირმა "ინგირს" ეკუთვნის, საიდანაც ფინანსურმა პოლიციამ შესაბამისი დოკუმენტაციის ნაწილი უკვე ამოიღო.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე დოკუმენტების გაყალბებისა და საბაჟო წესის დარღვევის მუხლებით არის აღძრული. ტვირთს ექსპერტიზა უტარდება, რაც ჯარიმის ოდენობას განსაზღვრავს. კონტეინერები გემით ჯერ თურქეთში, შემდეგ კი უნგრეთში უნდა გადაეტანათ.

*ინტერპრესნიუსი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დარღვევის ფაქტზე ქართველმა მესაზღვრეებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ძებნილი საქართველოს მოქალაქე დააკავეს. როგორც სასაზღვრო უწყების პრესსამსახურში აცხადებენ, ძებნილის დაკავება თბილისის აეროპორტში "დნეპროპეტროვსკი-თბილისის" რეისზე, სასაზღვრო-საპასპორტო კონტროლის გავლის დროს განხორციელდა. აღნიშნული პირი შემდგომი რეაგირებისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროს ისანი-სამგორის რაიონულ განყოფილებას გადაეცა. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა წითელ ხიდზე დიდი ოდენობით ავტომანქანის სათადარიგო ნაწილების საბაჟოს კონტროლის გარეშე გადატანის ფაქტი ალკვეთეს. როგორც პოლიციაში აცხადებენ, წითელ ხიდზე "ლუაზის" ტიპის ავტობუსმა საბაჟო კონტროლი გაიარა, რომლის მძღოლმა დეკლარაციის შევსების დროს დააფიქსირა, რომ მას არავითარი ტვირთი არ გააჩნდა. ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა ავტომანქანის შემოწმების დროს ავტობუსის სამალავში, კერძოდ, სავენტილაციო-საჰაერო მოწყობილობაში ავტომანქანის სათადარიგო ნაწილები აღმოაჩინეს, რომელიც მეპატრონეს ჩამოართვეს და ექსპერტიზაზე გადააგზავნეს. მძღოლის ვინაობა დგინდება. აღნიშნულ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე საბაჟო წესების დარღვევის მუხლით არის აღძრული. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსური პოლიციის იმერეთის სამმართველომ პასუხისგებაში მისცა "საქართველოს სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" დასავლეთ საქართველოს ცენტრალური ფილიალის ტყიბულის მომსახურების ცენტრის ინკასატორი ზურაბ გორდეზიანი. ფინანსური პოლიციის ინფორმაციით, მან ტყიბულელი აბონენტებისგან ამოღებული ელექტროენერგიის გადასახადი - 264 ლარი მიითვისა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა საქართველოს რეგიონებში უკანონო სამეწარმეო საქმიანობის რამდენიმე ფაქტი გამოავლინეს. პოლიციის ინფორმაციით, იმერეთში ვასილ კრავეიშვილი და მადონა ჩხეიძე სათამაშო აპარატებს ნებართვის გარეშე ამუშავებდნენ. სამეგრელოში კი შპს "პალიტრა "2002-ის" ხელმძღვანელი გრამიტონ ლაგვილავა ნავთობს ნებართვის გარეშე ხდიდა. ბესიკ ხუხიას და შორენა ჩიკორიას კი ლიცენზიის გარეშე ჰქონდათ აფთიაქები. აჭარაში გურამ ხინკილაძე ასევე ნებართვის გარეშე ამუშავებდა ბენზინგასამართ სადგურს. ყველა მათგანი სისხლის სამართლის პასუხისგებაშია მიცემული. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** უაქციზო სიგარეტის გადაზიდვის გამო, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა ტარიელ ფუტკარაძე. მას 1338 კოლოფი არამარკირებული სიგარეტი აღმოაჩნდა. გამოძიებას ფინანსური პოლიციის აჭარის სამმართველო აწარმოებს. **მედიანიუსი**

# ხალხი სასამართლოს გადაწყვეტილებას აპროტესტებს

პირველი გვერდიდან

საუბარია, რამდენიმე დღის წინ ყვარლის რაიონის სოფელ ენისელში მომხდარ ინციდენტზე. შინაგან საქმეთა სამინიტროს პრესცენტრის ინფორმაციით, კახეთის სამხარეო პოლიციის სამძებრო განყოფილების ვიცე-პოლკოვნიკს დავით ჯუგაშვილს, სოფელ ენისელში მეურნეობის საერთო საცხოვრებელთან ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ამავე სოფლის მცხოვრებლებმა, მამა-შვილმა გურამ და მურად დევლარიშვილებმა და კიდევ რამდენიმე პიროვნებამ, რომლებიც მომხდარიდან რამდენიმე წუთში პოლიციამ დააკავა. დაკითხვის შემდეგ სამი ეჭვმიტანილი გაათავისუფლეს, ხოლო მამა-შვილს წინასწარი სამთვიანი პატიმრობა კვირას შეუფარდეს. სოფელ ენისელის მოსახლეობის პროტესტის მიზეზი სწორედ სასამართლო გადაწყვეტილება გახდა, რის გამოც მათ აქცია გუშინ სამხარეო პოლიციის შენობის წინ გამართეს.

როგორც თვითმხილველებთან საუბრის დროს გაირკვა, დაზარალებულები პოლიციის თანამშრომელი კი არა, მამა-შვილი დევლარიშვილები არიან.

გიორგი ძულიაშვილი ერთ-ერთი თვითმხილველია, რომელიც იმის შესახებ საუბრობს, თუ როგორ ურტაყმდა გურამ დევლარიშვილს დავით ჯუგაშვილი.



*საპროტესტო აქცია კახეთის სამხარეო პოლიციასთან.*

**"ბიჭები სასეირნოდ დავდიოდით მანქანით, ამ დროს მურადმა გვთხოვა, გაგვეჩერებინა მისი სახლის წინ, რათა მამამისი ენახა, რამე ხომ არ სჭირდებოდა. მოულოდნელად მათი მეზობელი ქალი გამოჩნდა, რომელიც მორბოდა, მან მურადს დაუძახა, რომ მამას უკლავდნენ. სახლში შესულებს ასეთი სურათი დაგვხვდა, ძია გურამი გულწასული ეგდო. როცა მურადმა დავით ჯუგაშვილისგან მოითხოვა პასუხი, თუ რატომ სცემა მამამისი, პოლიციელმა მურადსაც დაატრყა და ამის შემდეგ მათ შორის მოხდა ინციდენტი. გონზე მოსულმა მურადის მამამაც დაუწყო პოლიციელს ცემა,"** - იხსენებს გიორგი ძულიაშვილი.

საგულისხმოა, რომ კახეთის სამხარეო პოლიციის თანამშრომელი დავით ჯუგაშვილი მრავალი წელია, რაც ძალოვან სისტემაში მუშაობს. კახეთის სამხარეო პოლიციაში გადმოსვლამდე მას მუშაობა ყვარლის პოლიციაში უწევდა და მის ქმედებებს მოსახლეობა დღემდე ურყოფითად აფასებს.

როგორც ენისელის მოსახლეობა ამბობს, პოლიციელის მხრიდან ასეთი უხეში ქმედებების გამო, ამავე სოფლის მკვიდრმა მიხეილ ოტიაშვილმა თავი ჩამოიხრჩო. **"სანამ ქვეყანა აირეოდა, მიხეილი ხარატი იყო და როცა ქვეყანა აირია, საამქროდან, რომელშიც ის მუშაობდა, შიფერი წამოიღო. ეს რომ გაიგო ჯუგაშვილმა, მიხეილს უთხრა, მისთვის 1100 ლარი მიეტანა. მიხეილმა მეზობლების და ნათესავების დახმარებით სამასი ლარი შეაგროვა. დავით ჯუგაშვილს კი, რომელიც იმ დროს რაიონის პოლიციის უფროსის მოადგილე იყო, თანხა ეცოტავა და უთხრა, 1100 ლარი სრულად მიეტანა. მიხეილ ოტიაშვილმა სრული თანხა რომ ვერ მოაგროვა, თავი ჩამოიხრჩო"**, - ამბობს ენისელის მკვიდრი დარეჯან ლეგაშვილი, რომლის ნათქვამსაც აქციაზე მისული თანასოფლელები ადასტურებენ.

ჯუგაშვილის წინააღმდეგ აქციაზე უამრავი პრეტენზია ისმოდა. **"მამა-შვილი საკუთარ უფლებებს იაცვდა. სხვა თუ არაფერი, მურადს მამას საკუთარ სახლში უკლავდნენ. სასამართლომ კი, სამხარეო პოლიციის ზეწოლით, გამოიტანა უკანონო გადაწყვეტილება, რაც უსამართლობაა,"** - ამბობენ სოფლის ახალგაზრდები.

პოლიცია კი დამნაშავედ სწორედ მამა-შვილ გურამ და მურად დევლარიშვილებს ასახელებს. სამხარეო პოლიციის უფროსის მოადგილის გოჩა თედიაშვილის თქმით, დაკავებულების მიმართ საქმე მკვლელობის მცდელობის მუხლით აღიძრა. **"თუმცა ამ ეტაპზე ვერ ხერხდება დაზარალებული პოლიციელის დაკითხვა, იმ მიზეზის გამო, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა. მამა-შვილის დაკავების გადაწყვეტილება კი მოწმეთა ჩვენების საფუძველზე მივიღეთ,"** - ამბობს გოჩა თედიაშვილი და იქვე იმასაც ამბობს, რომ ჩხუბი გურამ დევლარაშვილმა გამოიწვია, რომელიც პოლიციელს აგინებდა.

დაკავებულის ადვოკატმა სასამართლო გადაწყვეტილება, სააპელაციო წესით, უკვე გაასაჩივრა.


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ა ნ კ ე ტ ა

**სახელი, გვარი**..................................

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**..................................

**საკონტაქტო ტელეფონი** ..................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "რუსთაველის თეატრი" (ვესტიბიული);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "ელექტროდეპო");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. [illegible] 45 "[illegible]" [illegible] გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0179 თბილისი, წერეთლის გამზ. 77. იურიდიული ოფისი "გაპი".



**სს ნავთობის ეროვნული კომპანია "საქნავთობი" აცხადებს ტენდერს სარემონტო სამუშაოებზე**

**ტენდერი ცხადდება სამშენებლო ფირმებისათვის:**

**სამგორისა და თელეთის სათაო ნაგებობების ტერიტორიაზე მდებარე ნავთობშემკეთებელი პუნქტის 5000 $м^3$ და 2000 $м^3$ ტევადობის რეზერვუარების ძირის გამოცვლა.**

**"საქნავთობის" ბალანსზე არსებული კიკეთის დასასვენებელი სახლის სახურავის სარემონტო სამუშაოები.**

**ვაზიანის რკინიგზის ჩიხის შემოღობვა და ამ ტერიტორიის სამშენებლო სამუშაოების ჩატარება.**

**ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველებს უნდა გააჩნდეთ სათანადო სახელმწიფო ლიცენზია და დოკუმენტაცია. დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა მოგვმართონ შემდეგ მისამართზე: სს ნავთობის ეროვნული კომპანია "საქნავთობი" კოსტავას 65; ტელ: 33-38-84, 33-46-89;**




# ევროპული პასიანსი და ერთი ჯოკერი

წლევანდელი ლიგის ჯგუფური თუხთუხის ნახევარი უკვე არქივში გადაიდო და თითქმის ასი პროცენტით გაირკვა ის, რაც ყოველ წელს ამ დროს ირკვევა და რაც, პრინციპში, წინასწარ ვიცით - ვინ გავა მერვედფინალში. ახლა მეორე ნახევარი გველის წინ - რამდენიმე კაცური ჭიდაობა დინოზავრებს შორის, პირველ-მეორე ადგილზე გადანაწილება და უეფას თასზე შემძვრალთა ვინაობის დადგენა.

ამ ეტაპზე ძნელია იმის თქმა, თუ ვინაა დინოზავრებში ყველაზე ავი და ვინ გადაყლაპავს გაზაფხულზე ჩემპიონთა გიგანტურ თასს. ძნელია იმიტომ, რომ კაციშვილმა არ იცის, ვინ როგორ ფორმაში, როგორი შემადგენლობით და განწყობით შეხვდება 2006-ის მაისს. მდგომარეობას ხლართავს ისიც, რომ მომავალი წელი ჩვეულებრივი არაა, ვინაიდან მაისს მოსდევს ივნისი, მსოფლიოს მეთვრამეტე პირველობის დასაწყისის თვე. ამით იმის თქმა მსურს, რომ დიად მობურთალებს და შეიძლება არა მარტო მათ მხოლოდ საკლუბო სიამტკბილობები არ უდევთ თავში, ერთგვარად გაორებულნი არიან. ეს კი სერიოზულ ცვლილებებს შეიტანს საბოლოო გადანაწილებაში.

დღესდღეობით ფაქტი ერთია: ლონდონის "ჩელსის" ვერავინ დაუდგება გვერდში, ის ერთადერთი გამორჩეული ფავორიტია. სხვათა შორის, აბრამოვიჩის ბიჭები გასულ სეზონშიც ანალოგიური რეპუტაციით სარგებლობდნენ, მაგრამ წელს მდიდარი არისტოკრატია გაცილებით ღონიერი ჩანს.

არაერთხელ მითქვამს, რომ ჟოზე მურინიო და "ჩელსი" ნაკლებად მიზიდავს, მაგრამ ეს ჩემი სუბიექტური, გემოვნებისგან შობილი აზრია. თუმცა, ვაღიარებ, რომ ეს არის ერთ-ერთი ყველაზე კარგად აწყობილი მექანიზმი მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში. "ჩელსის" ძალიან ჭკვიანი მასწავლებელი და კიდევ უფრო ტვინიანი პატრონი ჰყავს - ლონდონელთა დათრევიდან ცოტა ხანში, სიტუაციაში დაწვრილებით გარკვევის შემდეგ, მისტერ აბრამოვიჩმა ორი ძალიან ძლიერი სვლა გააკეთა: გუნდი ჩააბარა მურინიოს, ხოლო "ჩელსის" მაყუთი და სატრანსფერო პოლიტიკა - პიტერ კენიონს, კაცს, რომელმაც "მანჩესტერ იუნაიტედი" პლანეტის უმაძღრეს კლუბად ჩამოაყალიბა. რომანი სოკერში კარგად ვერ ერკვევა, მაგრამ ხოშიანად იცის საქმის კეთება და ამ საქმისთვის ზედგამოჭრილი ტიპების შერჩევა. ის გენიალური მენეჯერია.

შეიქმნა მეტად ეფექტური ჯაჭვი - მურინიო ამბობს, ვინ სჭირდება გუნდის სრულყოფილებისთვის, კენიონი გარიგებას აგვარებს და აბრამოვიჩი ფულს იხდის. ისინი თვალდახუჭულნი ენდობიან ერთმანეთს, რადგან პორტუგალიელი ქოუჩი თითქმის არ ცდება საკადრო არჩევანში, კენიონი წამყვანი ფიგურაა საფეხბურთო ბაზარზე და ყველგან მიუწვდება ხელი, ხოლო პრეზიდენტს იმდენი ფული აქვს, რომ მოინდომოს, აფრიკას იყიდის პირამიდებიანად.

ყიდვაზე გამახსენდა - ჭორი დაფრინავს, თითქოს ორი ლონდონელი ჯიგარი, ტიერი ანრი და ფრენკ ლამპარდი, ზამთარში "ბარსელონაში" აპირებენ მუშაობის გაგრძელებას. ამ ჭორს ხელი შეაშველა თბილისში მყოფმა "ბარსას" წარმომადგენელმა, რომელმაც მითხრა, ანრი არ ვიცი, მაგრამ ლამპარდი უეჭველად უნდა წამოვიყვანოთ, მით უმეტეს, ნაშაც კატალონიელი ჰყავსო. თუმცა, მე მაინც არ მჯერა ამისი, რადგან დღეს ლამპარდზე უკეთესი რვა ნომრის ყიდვა შეუძლებელია და ვერც ანრისნაირ მფრინავ თეფშს იპოვით იოლად სადმე, ანუ ვინ უნდა იყიდოს "ჩელსიმ" და "არსენალმა" ამათზე უკეთესი?

კიდევ "ბაიერნი" მომეწონა. მომეწონა იმიტომ, რომ ფავორიტობის ამბავში "ჩელსის" მეგობარ "იუვენტუსს" ცხვირ-პირი დაუნაყა თავის კოსმიურ სტადიონზე. ამ ორ გუნდს, მე თუ მკითხავთ, ჩემპიონთა თასისკენ მიმავალ გზას საკუთარი მეკარეები გადაუღობავენ - აბიატი კი ნახეთ, რა დღეშიცაა და კლიმაქსის რა მძაფრი ფორმაც აქვს. ბუფონი იანვარში დაბრუნდებაო, მაგრამ საეჭვოა, დროის მოკლე მონაკვეთში ის ძველი ბუფონი გახდეს. აქედან გამომდინარე, ტურინელებს სეზონის ბოლომდე კარი ნახევრად ცარიელი ექნებათ, რასაც მათ არავინ აპატიებს. რაც შეეხება ოლივერ კანს, ამ ბიჭს გადამწყვეტ მომენტებში ნერვების კანკალი დასჩემდა.

აი, ზუსტად ახლა მომესმა სოკერზე მომასლაათე ამფსონებისგან ფრაზა, რომ სერ ალექს ფერგიუსონი ედუარდ შევარდნაძეა. ჭკვიანი მეგობრები მყავს, ვერაფერს იტყვი.

ჯერჯერობით ბურუსითაა მოცული "ბარსელონას", "ლივერპულისა" და "მილანის" შესაძლებლობები. პირველი არასტაბილური მშვენიერებით გამოირჩევა, მეორე - შარშანდელის მაგვარი იდუმალებით, ხოლო მესამე - ცვალებადი, წმინდა წყლის იტალიური სიმძიმით. ამათ გვერდით სულ თავისუფლად შეიძლება "ლიონის" დაყენება, ოღონდ ჟუნინიოს რომ რაიმე შეემთხვას, ეს კოხტა კლუბი მომენტალურად გადაინაცვლებს მომდევნო კატეგორიაში, სადაც ქაოსურად ფუსფუსებენ "ინტერი", "არსენალი", "რეალი", "პორტო".

შეიძლება ვინმეს გაუკვირდეს ჩემი მხრიდან მადრიდელთა ასეთი დაძაბუნება, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ "რეალი" ამ სეზონში უტიტულოდ დარჩება. ეს არის "ხასიათის გუნდის" კლასიკური მაგალითი, ოდნავ უცნაური მწვრთნელით, გადამწვარი ზიდანით და ასე შემდეგ. ამას წინათ რონალდოს პრეზიდენტ პერესისთვის შეუთვლია, ხელფასი გამიზარდე და მეტ გოლებს შევყრიო. ცოტა არ იყოს, არაორდინარული წინადადებაა მსოფლიოს რამდენიმეგზის უძლიერესი ფეხბურთელისგან, რომელიც, წესით, პროფესიონალიზმისა და თავდადების განსახიერება უნდა იყოს. ასეთი განწყობითა და შემადგენლობით "რეალი" შორს ნაღდად ვერ გაფრინდება.

ასე რომ, "ჩელსის" ნაკვთები ჯერჯერობით ყველაზე მკაფიოა. მერე და მერე გამოჩნდება.

*მომავალ სამშაბათამდე*

ფეხბურთი

# შევჩენკო ისევ იბრძოლებს

ოქროს ბურთის მოქმედ მფლობელს უკრაინელ ანდრეი შევჩენკოს შეუძლია წელსაც იბრძოლოს ევროპის უმთავრესი ინდივიდუალური ტიტულისთვის.

გუშინ ფრანგულმა ყოველკვირეულმა გამოცემამ France Football, რომელიც ტრადიციულად გადასცემს ევროპის ყველაზე პრესტიჟულ ჯილდოს "ოქროს ბურთს" - პრიზი ევროპის საუკეთესო ფეხბურთელისთვის, გამოაქვეყნა იმ 50 ფეხბურთელის სახელი, ვინც ტიტულისთვის წელს იბრძოლებს.

უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ "ოქროს ბურთისთვის" წელსაც იბრძოლებს მისი შარშანდელი მფლობელი - უკრაინის ნაკრებისა და იტალიური "მილანის" ფორვარდი ანდრეი შევჩენკო. ანდრეისთვის წლევანდელი სეზონი არაერთგვაროვანი გამოდგა. ერთი მხრივ, უკრაინის ნაკრები, რომლის ლიდერიც შევჩენკოა, პირველად თავისი არსებობის ისტორიაში, გავიდა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. მეორე მხრივ კი, შევჩენკო წელს არც ისე დამაჯერებელი იყო, როგორც შარშან. როცა უკრაინელზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში გვახსენდება მის მიერ ჩემპიონთა ლიგის ფინალურ მატჩში გამოუყენებელი პენალტი და, ამასთან, იმავე ფინალში ორი მეტრიდან დარტყმული ბურთი "ლივერპულის" მეკარე დუდეკის კარში, რომელიც შევჩენკომ ვერ გაიტანა.

თუმცა, ცალკეული წარუმატებლობების მიუხედავად, შევჩენკო ევროპის ყველაზე სტაბილურ ფორვარდად რჩება. ამიტომ პრეტენდენტებს შორის მისი შეყვანა სრულიად კანონზომიერია. შეგახსენებთ, რომ შევჩენკო უკრაინის მესამე წარმომადგენელია, რომელსაც ესოდენ დიდი პატივი ხვდა წილად. ადრე "ოქროს ბურთს" ოლეგ ბლოხინი (1975) და იგორ ბელანოვი (1986) ფლობდნენ.

უკრაინელის მსგავსად, ტიტულისთვის იბრძოლებს "ოქროს ბურთის 2003 წლის ლაურეატი ჩეხი პაველ ნედვედი ტურინის "იუვენტუსიდან".





*შევჩენკო და ნედვედი წელსაც ოქროს ბურთისთვის იბრძოლებენ.*

საერთოდ, ფრანგი ჟურნალისტების მიერ შედგენილ სიაში საკმაოდ ბევრი იუვენტუსელი ფეხბურთელია. ნედვედის გარდა, ამ სიაში ტურინული კლუბის კიდევ რვა ფეხბურთელი შედის. ნუსხაში ბევრია ბრაზილიელი ფეხბურთელიც (საქმე ის არის, რომ "ოქროს ბურთი" არა მხოლოდ ევროპელ ფეხბურთელს, არამედ ევროპაში მოთამაშე ნებისმიერ პრეტენდენტს შეიძლება გადაეცეს) - ათი.

თუ ეროვნულ ჩემპიონატზე გავამახვილებთ ყურადღებას, შევამჩნევთ, რომ ორმოცდაათ საუკეთესო ფეხბურთელს შორის ბევრი მოთამაშეა იტალიური სერია A-დან და ინგლისური პრემიერ-ლიგიდან.

ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის გამოვლენაში ევროპის წამყვანი სპორტული გამოცემების ჟურნალისტები მიიღებენ მონაწილეობას და ეს პროცესი ერთ თვეზე დიდხანს გაგრძელდება. შედეგები კი პარიზში 28 ნოემბერს გამოცხადდება.

**2005 წლის "ოქროს ბურთის" 50 პრეტენდენტი:**

**ადრიანო** ("ინტერი"), **მიხაელ ბალაკი** ("ბაიერნი"), **დევიდ ბექჰემი** ("რეალი), **ჯანლუიჯი ბუფონი** ("იუვენტუსი"), **მაურო კამორანეზი** ("იუვენტუსი"), **ფაბიო კანავარო** ("იუვენტუსი"), **ჯეიმი კარაგერი** ("ლივერპული"), **პეტერ ჩეხი** ("ჩელსი"), **ანდრეი შევჩენკო** ("მილანი"), **გრეგორი კუპე** ("ლიონი"), **კრისი** ("ლიონი"), **დეკუ** ("ბარსელონა"), **დიდა** ("მილანი"), **დიდიე დროგბა** ("ჩელსი"), **ემერსონი** ("იუვენტუსი"), **მიშელ ესიენი** ("ლიონი"/"ჩელსი"), **სამუელ ეტო`ო** ("ბარსელონა"), **ლუიშ ფიგუ** ("ინტერი"), **დიეგო ფორლანი** ("ვილიარეალი"), **ლუის გარსია** ("ლივერპული"), **სტივენ ჯერარდი** ("ლივერპული"), **ტიერი ანრი** ("არსენალი"), **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** ("იუვენტუსი"), **ჟუნინიო** ("ლიონი"), **კაკა** ("მილანი"), **ფრენკ ლამპარდი** ("ჩელსი"), **როი მაკაი** ("ბაიერნი"), **კლოდ მაკელელე** ("ჩელსი"), **პაოლო მალდინი** ("მილანი"), **პაველ ნედვედი** ("იუვენტუსი"), **მაიკლ ოუენი** ("რელი"/"ნიუკასლი"), **პაკ ჯი სუნი** (პსვ/"მანჩესტერ იუნაიტედი"), **ანდრეა პირლო** ("მილანი"), **რაული** ("რეალი"), **რიკელმე** ("ვილიარეალი"), **არიენ რობენი** ("ჩელსი"), **რობერტო კარლოსი** ("რეალი"), **რობინიო** ("რეალი"), **რონალდინიო** ("ბარსელონა"), **რონალდო** ("რეალი"), **კრიშტიანუ რონალდუ** ("მანჩესტერ იუნაიტედი"), **უეინ რუნი** ("მანჩესტერ იუნაიტედი"), **ჯონ ტერი** ("ჩელსი"), **ლილიან ტიურამი** ("იუვენტუსი"), **დავიდ ტრეზეგე** ("იუვენტუსი"), **მარკ ვან ბომელი** (პსვ/"ბარსელონა"), **რუუდ ვან ნისტელროი** ("მანჩესტერ იუნაიტედი"), **პატრიკ ვიეირა** ("არსენალი"/"იუვენტუსი"), **ხავი** ("ბარსელონა"), **ზინედინ ზიდანი** ("რეალი").

# ვან დერ ვაარტის ახალი ერა

რაფაელ ვან დერ ვაარტის "ჰამბურგში" გადასვლამ მასში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. აქაოდა, რაში სჭირდებოდა ძალზე ახალგაზრდა, ტექნიკურ და მოაზროვნე ფეხბურთელს ბუნდესლიგა, სადაც, ჰოლანდიელ გულშემატკივართა აზრით, მხოლოდ დარბიან და ჯიკავობენ.

**"აიაქსის" ფანატიკი**

მაშინ ვან დერ ვაარტს ყველა სამხრეთ ევროპაში გადაბარგებას უწინასწარმეტყველებდა. თავად ამ ჰოლანდიელ ფეხბურთელს, რომელსაც დედა წარმოშობით ესპანელი ჰყავს, არაერთხელ უთქვამს, რომ მისი საყვარელი კლუბი "ბარსელონაა". კი ბატონო, - ინგლისი, ჯანდაბას, იტალია, მაგრამ - გერმანიის ბუნდესლიგა? თუმცა, ისიც ნათელი იყო, რომ ვან დერ ვაარტი "აიაქსში" არ დარჩებოდა. 22 წლის ფეხბურთელმა ჰოლანდიაში თავისი შესაძლებლობები ამოწურა, მოტივაცია დაკარგა და სპორტული დაოსტატების ზრდის თვალსაზრისითაც დამუხრუჭდა. ეს მან სხვებზე უკეთ იგრძნო და განაცხადა, რომ აღარ განაახლებდა "აიაქსთან" დამაკავშირებელ კონტრაქტს, რომელსაც 2006 წლის ივნისში ეწურებოდა ვადა. "აიაქსსაც" რაღა დარჩენოდა - მისთვის ეს ფეხბურთელი იკარგებოდა და ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა - ვან დერ ვაარტი "ჰამბურგს" 6 მილიონ დოლარად დაუთმო.

**"ჰამბურგის" შენაძენი**

მიმდინარე სეზონში ვან დერ ვაარტმა უკვე 10 გოლი გაიტანა, რითაც თავის ახალ კლუბს ინტერტოტოს თასის მოგებაში და უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე გაღწევაში დიდად დაეხმარა. გასულ კვირაში ვან დერ ვაარტის გოლმა "ჰამბურგს" გერმანული და მსოფლიო ფეხბურთის გრანდზე, "ბავარიაზე" გაამარჯვებინა, ხოლო დანიის "კოპენჰაგენთან" უეფას თასის ჯგუფური ეტაპის მატჩში ბოლო წუთზე ჰოლანდიელის მიერ რეალიზებულმა პენალტმა გერმანულ კლუბს გამარჯვება მოუტანა. გასულ შაბათს ვან დერ ვაარტმა "კაიზერსლაუტერნს" ორი გოლი გაუტანა, რამაც "ჰამბურგს" საშუალება მისცა, "ბავარიასთან" საჩემპიონო რბოლა წარმატებით გაეგრძელებინა. "აიაქსის" დატოვებასთან ერთად ვან დერ ვაარტის ჩრდილში ყოფნა დასრულდა და ახალ კლუბში იგი ახალი ძალით ათამაშდა.

ვან დერ ვაარტი დაიბადა 1983 წლის 11 თებერვალს ჰოლანდიის დაბა ჰეემსკერკში. მამა ჰოლანდიელი ჰყავს, დედა - ესპანელი. უკვე 4 წლის ასაკში ვან დერ ვაარტის ერთადერთ საყვარელ გასართობად ფეხბურთი იქცა. "ფეხი კარგად ადგმული არც ჰქონდა, რომ ბურთი მისი საყვარელი სათამაშო გახდა. უკვე ოთხი წლის ასაკში ისეთ რამეებს აკეთებდა, რომ ვიფიქრე - ამ ბიჭში მართლაც არის რაღაც", - იხსენებს მამა.



**პირველი მერცხალი**

ათი წლის ასაკში ვან დერ ვაარტი "აიაქსის" სკოლაში აღმოჩნდა. ამ სახელოვან საფეხბურთო აკადემიაში ჩარიცხვის პირველივე დღეებიდან იგი განსაკუთრებით ნიჭიერ აღსაზრდელთა მცირერიცხოვან ჯგუფში მოხვდა. "აიაქსის" ძირითად შემადგენლობაში ვან დერ ვაარტის დებიუტი 17 წლის ასაკში შედგა. პირველი სერიოზული გამოცდა ბედმა 2002 წელს მოუწყო, როცა მარჯვენა მუხლის სერიოზული ტრავმა მიიღო, თუმცა, ამ დროისთვის ვან დერ ვაარტის მიერ გატანილი 14 გოლი "აიაქსს" ქვეყნის ჩემპიონის ტიტულის მოპოვებაში დაეხმარა.

**არეული დრო**

ტრავმის მოშუშებას დრო დასჭირდა, თუმცა, მომდევნო სეზონის სტარტზევე ვან დერ ვაარტმა აღიდგინა სპორტული ფორმა და ფიზიკური კონდიცია, მაგრამ კრიტიკის მიმართ განსაკუთრებულ მგრძნობიარე გახდა. ყველაზე მეტად "აიაქსის" ახალგაზრდა კაპიტანს დაცვითი ფუნქციების შესრულების მიმართ ზერელე დამოკიდებულებაში სდებდნენ ბრალს. განსაკუთრებულ თემად იქცა მისი ურთიერთობა მსახიობ სილვია მეისთან. ყველაფერი კი იმით დამთავრდა, რომ ვან დერ ვაარტს 2004 წელს უთანხმოება მოუვიდა "აიაქსის" მთავარ მწვრთნელთან რონლად კუმანთან, დაკარგა კაპიტნის სამკლაური და კლუბის გამოცვლა გადაწყვიტა.

**უცხო გარემოში**

"ჰამბურგში" გადაბარგებული ვან დერ ვაარტი გათავისუფლდა იმ საზოგადოებრივი წნეხისგან, რომელიც ამსტერდამში მოსვენებას უკარგავდა. გერმანიაში მან ისევ შეძლო ფორვარდის ინსტინქტის გამოვლენა. "ჰამბურგში" ჰოლანდიელი ფორვარდი თავის საყვარელ პოზიციაზე - ორი თავდამსხმელის უკან თამაშობს და დაცვითი ფუნქციების შესრულებასაც არავინ ავალდებულებს. კლუბის გულშემატკივრები ვან დერ ვაარტს კევინ კიგანის შემდეგ საუკეთესო შენაძენად თვლიან. კიგანი კი, მოგეხსენებათ, "ჰამბურგმა" დაახლოებით 30 წლის წინ შეიძინა. სწორედ ვან დერ ვაარტის მისვლით "ჰამბურგმა" "გაიღვიძა და რეალურად ჩაება ბუნდესლიგის ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში.

**ნდობის ფაქტორი**

"ტომას დოლი ("ჰამბურგის" მთავარი მწვრთნელი,-რედ.) გახლავთ ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, თუ რატომ ავირჩიე "ჰამბურგი". ის მესაუბრა ფეხბურთთან დაკავშირებით საკუთარ შეხედულებებზე და ახალ გარემოსთან შეგუებაში ძალზე დამეხმარა. ნდობის ფაქტორი ფეხბურთელისთვის უმნიშვნელოვანესია, მე კი მწვრთნელი სრულ ნდობას მიცხადებს", - განაცხადა ვან დერ ვაარტმა.

"კლუბის დაჟინებაც ნუ დაგავიწყდებათ. მე იქამდე არ მოვასვენე ფეხბურთელი, სანამ "ჰამბურგში" გადმოსვლაზე არ დავითანხმე", - აღნიშნა გერმანული კლუბის სპორტულმა დირექტორმა დიტმარ ბაიერსდორფერმა.

აქცენტი

# დუმილიდან პირდაპირი ნახტომით დღევანდელობაში

სოფო კილასონია

ერთმა ბრძენმა თქვა, რომ ის ბუნებას ბაძავს და მხოლოდ სამყაროსთან შედარებითი საუბრით შეიძლება მისი დანახვაცა და შეფასებაც. მეორემ სულ სხვაგან, წარმოსახვით, იდეათა სივრცეში გადაგვისროლა და იქ იპოვა თავისი საზრდო. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ხელოვნებამ ერთსაც და მეორესაც დაუმტკიცა, რომ იგი თავისთავად ბევრად ცვალებადი და ამოუცნობია. თანამედროვე ხელოვნებამ მეტი პრობლემის პროვოცირება მოახერხა, თუმცა, ერთი რამ არის მასში არაჩვეულებრივი: კითხვები მსგავსი დატოვა. ზუსტად ვერავინ გვითხრა, მაინც როდის დაიწყო ადამიანმა ესთეტიზმით ტკბობა, რატომ მოხატა ქვაბულების კედლები, რატომ აცეკვდა კერპის წინაშე, რატომ დახატა ავტოპორტრეტი და საკუთარი შთაბეჭდილება, რატომ შეიყვარა ფორმა და რატომ დააქუცმაცა საკუთარი იდეალები. ვერც ის გაგვიგია ბოლომდე, რა კრიტერიუმებით მოგვწონს ხშირად უკომენტარო თანამედროვე არტი და რომელი თეორიებით უარვყოფთ მის ამა თუ იმ გამოვლინებას, მაინც სად უნდა დამთავრდეს სუბიექტური განსჯა და სად დაიწყოს ობიექტური, ანდა საერთოდ, ღირს კი მათი ხსენება, როცა საქმე გრძნობას, ემოციას და თავბრუდამხვევ იდეებს ეხება? ნებისმიერ ამ და სხვა კითხვაზე ნაირფეროვან პასუხებს ისტორიოგრაფიულ, სახელოვნებო ლიტერატურაში აღმოვაჩენთ. სწორედ იქ, სადაც მისი აღმატებულების, არტ-კრიტიკის სათავეები უნდა იმალებოდეს. სწორედ იმ მოვლენისა, რომელიც უკვე რამდენიმე საუკუნე თუ არა, რამდენიმე ათეული წელი მაინცაა, დასავლურ კულტურას მართავს და თავის ჭკუაზე ატარებს, რომელმაც ყველაფერს თანამედროვეს თუ გასული საუკუნის მოვლენას სახელი დაარქვა და რომელიც აგრერიგად გვაკლია და გვჭირდება ჩვენც. თუმცა, რამდენად გვაკლია, ეს მეორე საკითხია, მაგრამ მისი არსებობა-არარსებობის საკითხი ნამდვილად გვაწუხებს და გვანერვიულებს. მისი არარსებობისა და უნიათობის ამბავს ყველაზე მეტად ჩვენი ხელოვანები და შემოქმედი ადამიანები განიცდიან და ეს ერთდროულად ღიმილისმომგვრელიცაა და პარადოქსულიც...

"ხელოვნების ქმნილებას ყველაზე ნაკლებად კრიტიკული განსჯით ჩასწვდება ადამიანი, რადგან კრიტიკა ხელოვნების ნაწარმოების მეტ-ნაკლებად ვერგაგებაზეა დაფუძნებული", - ეს სიტყვები რაინერ მარია რილკემ ახალგაზრდა პოეტს ფრანც ქსავერ კაპუსს მისწერა. მიუხედავად ამისა, წერილის დანარჩენი ნაწილი მისი ლექსების საკმაო კრიტიკას დაუთმო. შესაძლოა, მისი სიტყვები მრავალ ე.წ. კრიტიკოსს გახსენებია, სანამ საკუთარი აზრი გამოუთქვამს, მაგრამ უდავოდ იმასაც მიხვდებოდა, რომ ამით რილკემ ობიექტურობის სიმძიმეს ლამაზად აარიდა თავი და კრიტიკის ყველაზე დიდ მომხიბვლელობას, სუბიექტური და ყოველგვარი ნორმატივებისგან დაცლილი თავისუფალი აზრის გამოხატვის საშუალებას დაეწაფა. თუმცა, ასეთი სიღრმეები ჩვენ როდი გვხიბლავს. ქართველი არტისტული საზოგადოება კრიტიკას მოითხოვს, თუმცა, ბოლომდე მაინც არ არის გარკვეული, თავად რას გულისხმობს მასში. როგორც ხშირად შეიმჩნევა, ეს სუბიექტები საკუთარი სუბიექტური ხელოვნების ობიექტურ განსჯას მოითხოვენ, მას კი, რაც არ ხიბლავთ, სუბიექტივიზმში სდებენ ბრალს. თურმე ეს ძალიან ცუდია. არადა, თანამედროვე კრიტიკა, ისე როგორც თავად თანამედროვე ხელოვნება, სტანდარტებს არ ცნობს და ბევრად უფრო მასშტაბურია, ვიდრე ამა თუ იმ მოვლენის სწორხაზოვნად დადებითად ან უარყოფითად შეფასება. მისი ბუნება მრავალწახნაგოვანია, იგი თავად გახდა არტისტული მოვლენა და ეს არის მასში მთავარი. რამდენად გვინდა კრიტიკა, როგორც სახელოვნებო პროცესების მონაწილე, - ეს არის ის კითხვა, რომელიც ხელოვანებმა საკუთარ თავს უნდა დაუსვან და მხოლოდ ამის შემდეგ ისაუბრონ ნიშნის მოგებით.

კრიტიკა დიდი ხანია გასცდა ისტორიოგრაფიულ მონახაზებსა და დაფიქსირება-აღწერის პროცესებს. ასევე მრავალი წელია, რაც იგი მხოლოდ ე.წ. შეფასება-ანალიზით აღარ იფარგლება, ერთდროულად მხატვრულ-კულტურული პროცესების მონაწილე და, მეტიც, მაპროვოცირებელი გახდა. ის ლიტერატურული ნაწარმოებიცაა და ხშირად დამოუკიდებელი ესთეტიკაც. შესაძლოა, ამით არ ეყრება საფუძველი მოვლენებს, მაგრამ ნამდვილად რომ ეწყობა ხელი შემდგომ პროცესებს, ეს ევროპული არტისტისთვის აქსიომაა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. კრიტიკაზე ამგვარი წარმოდგენა რომ ჰქონდეთ ქართველ ხელოვანებს, განსაკუთრებით ქართველ რეჟისორებს, მსახიობებსა და კიდევ მრავალთ, კრიტიკის ქომაგებად მათ ნამდვილად ვერ ვიხილავდით. სხვა თუ არაფერი, საქართველო და ჩვენი კულტურა მათთვის ნამდვილი სავანეა, ისეთი, როგორსაც განვითარებულ დასავლეთში სხვაგან ვერსად იხილავენ. და მაინც, თუკი არ არსებობს კრიტიკული აზრი, ლოგიკას მივმართოთ და გავბედოთ: - არ არის არც არანაირი პროცესი. განა მოხდა ქართულ თეატრში რაღაც ისეთი, რეფორმატორული, ახალი, რომელზეც მრავალი რამ უნდა თქმულიყო, მრავალი რამ დაწერილიყო, ახალი რამ აღმოჩენილიყო და ეს არ მოხერხდა კრიტიკოსთა უნიათობის გამო? განა წამოვიდა მხატვართა ახალი თაობა, რომელმაც ახალი, თუნდაც ახლებურად შეფუთული ძველი წარმოგვიდგინა ისე, რომ ეს უნდა ჩანიშნულიყო, კრიტიკოსები კი მუზებს არ მოესვენებინათ? საერთოდ, შეძლო კი ქართულმა, ზედმიწევნით ელიტურმა, გაპრანჭულმა კულტურამ ამ ბოლო წლებში საზოგადოების ამოძრავება, ალაპარაკება, თუნდავ გაწითლება? ერთეულ შემთხვევებში, შესაძლოა, მაგრამ მთლიანობაში ყველაფერი რომ ლამაზი, მაგრამ ნაცრისფერია, ამას რა ვუყოთ? თუმცა, ეს რომ ჩაგრულ კრიტიკოსებს არ ამართლებს, ფაქტია.

ვამბობ და ვწერ "კრიტიკოსები". და მაინც, სად არიან ისინი? დაახლოებით ათი წლის წინ თითო-თითო ნამდვილად იყო. დღეს ერთნი აღიარებენ, რომ ბობოქარმა ტალღამ მათ თავზე გადაუარა, მეორენი მეტად სარფიანი სტატიებით იქცევენ თავს. ხელოვნების რიგითი ჟურნალისტები - ეს სულ სხვა მოვლენა და ცალკე თემაა. რამდენიმე დღის წინ ერთმა პოპულარულმა რეჟისორმა მითხრა, რომ მაშინ, როცა დაიდგა "კავკასიური ცარცის წრე", მაშინ, როცა რუსთაველის თეატრი და მისი რეჟისორი უცხოურმა კრიტიკამ, ქართულისგან განსხვავებით, უმაღლესი შეფასებით დააჯილდოვა, მოკლედ, სავარაუდო პერიოდი მოიხაზა, მაშინ ქართულმა თეატრმა თეატრის კრიტიკას აჯობა, დაამარცხა. არ შეიძლება ამ აზრს არ დავეთანხმოთ, თუმცა, ისიც უნდა დავუმატოთ, რომ მას შემდეგ მან ლამის სამუდამოდ მიიძინა. მხატვრობის კრიტიკას არასდროს გამოუჩენია თავი. ამიტომ ამ შემთხვევაში რაიმე ბრძოლაზე საუბრისგან თავი უნდა შევიკავოთ.

რა თქმა უნდა, სუბიექტები გარკვეულ კრიტერიუმებს პასუხობენ, თუმცა, ეს მხოლოდ ჩვენს რეალობაში. მაშინ, როდესაც კრიტიკის ობიექტურობის მითმა კარგა ხანია ჩაიარა. კრიტიკა დამოუკიდებელი ჟანრი გახდა. კრიტიკოსის ფიგურა ხდება ისეთივე სრულუფლებიანი ნაწილი, ბერკეტი მხატვრული სივრცისა, როგორიც არის გალერეისტი, კურატორი და თავად მხატვარიც. თანამედროვე ხელოვნების შემთხვევაში შეუძლებელია გარკვეულ ნორმატივებში მისი მოქცევა. არაფრის მომცემია ვწეროთ ისე, როგორც ადრე წერდნენ. მაშინ, როცა სპეცსაბჭოები კრიტიკის განვითარებას სხდომებს უთმობდნენ, შესაძლოა, კრიტიკა არსებობდა, თუმცა, სულ სხვა საკითხია, რეალურად რამდენად ამართლებდა იგი ამ ცნების შინაარსს. კრიტიკა ვეღარ იქნება ძველებურად მხოლოდ იმპრესიონისტული, ვერც ზედმეტად თეორეტიზებული, ვერც მარგინალური, ვიღაცის ან რაღაცის დანამატი, მეორეხარისხოვანი მოვლენა. აქ საერთოდ გაუგებარი ხდება ნებისმიერი ნორმატივები. მთავარი უკვე კრიტიკოსის ნატურა, გემოვნება, დამოკიდებულება, არჩევანია. მთავარია თავისუფალი აზროვნება, დანახულის ინტერპრეტაციის უნარი და მისი გამოთქმის გამბედაობა, მაგრამ საიდან მოვა გამბედაობა, თუ განათლება, ინფორმაციული გახსნილობა არ ედება საფუძვლად. ჩვენი დროის ნამდვილი კრიტიკოსი თავად უნდა იყოს არტისტი, აზარტული მოთამაშე, ხშირად პროცესების პროვოკატორი, ადამიანი, რომელსაც ძალუძს სიტუაციისგან შექმნას მითი და პირიქით. ის უნდა ჰგავდეს იმ რეჟისორს, რომელიც თავად დგამს და ათამაშებს არტისტებსა და მათ შემოქმედებას. შეეძლება ერთი და იგივე ნამუშევრი სხვადასხვა პლანსა და ხედვაში წარმოაჩინოს და ამა თუ იმ ნამუშევრის ყველა მხარე, მთელი შესაძლებლობები დაინახოს და ბოლოს სასურველი და მისთვის საინტერესო დაიტოვოს. ის არ უნდა იყოს პროცესის დასასრული, ვიღაცის პიარ-მენეჯერი და რაღაცის დანამატი. კრიტიკოსი სუბიექტია არტისტული ცხოვრებისა. ჩვენთან კი ამ ყველაფერს მუდამ ფამილარული ურთიერთობები ჯაბნიდა, ყველაზე კრიტიკული აზრი კულუარებამდე აღწევდა და იქაც პირფერობით ინილბებოდა.

და მაინც, სად უნდა დაიბადოს თავისუფალი აზროვნების მქონე, იდეათა პროვოკატორი? ფაქტია: ამ თვისებებს მხოლოდ აღზრდითა და სწავლით ვერ შეიძენ, თუმცა, თავისუფალი აზროვნების საშუალებას და მის პორვოცირებას უნდა ახდენდნენ. მაგალითისთვის ავიღოთ თეატრალური სფერო, სწორედ ის სფერო, რომელშიც კრიტიკა ერთ დროს ძლიერი იყო (ასე ამბობენ!). შევიხედოთ თეატრალურ უნივერსიტეტში, იქ, სადაც ყველა გარემოა იმისთვის, რომ ახალგაზრდამ ფიქრი დაიწყოს, მაგრამ რანაირად? მამების თაობისთვის დღემდე ერთადერთი საინტერესო - თუმანიშვილის თეატრში ხდებოდა, პედაგოგები ჯერ კიდევ სტურუას პირველ წარმატებულ სპექტაკლებზე საუბრობენ, დაპირისპირების შემთხვევაში მას და თემურ ჩხეიძეს აპირისპირებენ. წარსულს დღევანდელობაში ათამაშებენ, ჭრელი აწმყო კი ძალიან შორეული ხვალისთვის აქვთ გადადებული. ამ დროს სტუდენტი ანუ მომავალი მაყურებელი, ავტორი თუ მონაწილე (როგორც გნებავთ), საუკეთესო შემთხვევაში ალტკინებულ საუბარს, მონოლოგს უსმენს. ყველაზე საინტერესოდ იქ მაინც თუმანიშვილის "ანტიგონეს" არჩევენ, ქართული თეატრის ისტორია მარჯანიშვილი-ახმეტელის დაპირისპირებით იწყება და ინტერესის მომგვრელი ინტრიგა იქვე ახლოს მთავრდება. სხვა სასწავლო-სახელოვნებო დაწესებულებებშიც ზუსტად იგივე მეორდება. და ეს ყველაფერი ახალი თაობის ინერტულობას ბრალდება, ერთპიროვნული მონოლოგებითა და მხოლოდ ერთი კითხვა-პასუხით მთავრდება: უკაცრავად, მაგრამ დღეს, დღეს რა ხდება? - არაფერი საინტერესო! - არის პასუხი, რომელსაც გვინდა დავეთანხმებით, გვინდა არა.

დიახ, ვარსკვლავური ბრწყინვალებით, შესაძლოა, არტ-მოვლენები არ კაშკაშებენ, მაგრამ ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ სალაპარაკო მეტია. მით უფრო მაშინ, როცა საზღვარგარეთული ამბებით გაცნობიერება და ხელმძღვანელობა დღეს მაინც იოლია. მაგრამ არა! ყველაზე წარმატებული, ახლად კურსდამთავრებული რეჟისორი ამაყად მიცხადებს, რომ ლეო ქიაჩელის ერთ-ერთი ნაცრისფერი მოთხრობა საუკეთესო რამაა თანამედროვე თეატრის განვითარებისთვის. შორს აღარ წავალ... ისევ საწყის წერტილს დავუბრუნდები: რომელ და როგორ გარემოში უნდა გაჩნდეს ის არტ-კრიტიკა, რომელიც სჭირდება თანამედროვე ქართულ ხელოვნებას სრულფასოვანი განვითარებისთვის? მაინც რომელ საზოგადოებაში?

დაახლოებით ერთი წლის წინ ერთ-ერთ სტატიას ერთ-ერთი მკითხველი წერილით გამოეხმაურა. წარმოიდგინეთ, რაოდენ სასიამოვნოა, როცა მკითხველი საჯაროდ მოგმართავს და გეუბნება, შენი ყველა ფრაზა დავიმახსოვრე და თანაც ყველა გავშიფრეო. მერე კი არ დაიზარებს და ერთი საშუალო ნიჭის მხატვრის მიმართ გამოთქმულ კრიტიკულ შეფასებებს ჩაუღრმავდება და საკმაოდ სავალალო შედეგებამდე მივა. **დასკვნა: "სტატიის ავტორი განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩევა, პარანოიდული სიმპტომები ეჭვგარეშეა, მისი განსაკუთრებული აგრესია არამართლმადიდებელი სუბიექტების მიმართ აღინიშნება, სხვაგვარად ვერ ავხსნით მის უკმაყოფილებას N მხატვრის შემოქმედებით, ის ხომ პროტესტანტია... სტატია იმდენად კრიტიკული აღმოჩნდა რომ დამთვალიერებელს გამოფენისადმი ინტერესი გაუნელდა,"** - კრიტიკული სტატიის ავტორის მრწამსის ძიებამ და ლიბერალიზმის ნაკლებობის დასაბუთებამ მკითხველი კიდევ უფრო შორს წაიყვანა: **"ბოლო-ბოლო, პატივი მიაგეთ ბედკრულ საქართველოში ჩამობრძანებულ იტალიელს და გაიხარეთ, რა გენაღვლებათ? მართალია, მხატვრობისა არა გამეგება რა, მაგრამ თქვენს მზაკვრულ ქვეტექსტებს მივხვდი. ასე თუ განაგრძობთ, ეროვნულ გალერეას მისი მსგავსი გენიები აღარ ესტუმრებიანო."**

მართლაც, შთამბეჭდავი იყო. პირველ რიგში იმიტომ, რომ ქალბატონი სურათების ეროვნული გალერეის მუშაობით მოხიბლული ყოფილა, შემდეგ იმით, რომ სტატიის ავტორის თამამ მსჯელობას ეფექტური, აქტუალური და ცხადზე უცხადესი მიზეზები აღმოუჩინა. პასუხი უნდა დაწერილიყო, მაგრამ ავტორს სათქმელი აღარაფერი ჰქონდა. მკითხველი თამამად აღიარებდა, რომ ხელოვნების შეფასებისა ბევრი არა იცოდა რა. იმის ახსნას, რომ ავტორისთვის ნებისმიერი ხელოვნების ნიმუში, იმ შემთხვევაში, რელიგიათა შორის მიმდინარე ყოველგვარ ფარულ თუ ღია პოლემიკაზე ბევრად მაღლა იდგა, აზრი არ ჰქონდა. ასე დარჩა ეს ამბავი, როგორც ამბობენ - ღიად. დღეს თბილისში ალბათ კიდევ დაეძებენ რელიგიური ნიშნით დისკრედიტებულ ევროპელ მხატვრებს და, პირიქით, დღეს თბილისში ნახავთ ისეთ წვერიან შემოქმედებს, დღედალამ ძველი ფრესკების ბრმა კოპირებით რომ ლევენ წუთისოფელს. თბილისში მოწყობილ საერთაშორისო არტფესტივალებში ყველაზე საცოდავად ქართველები გამოიყურებიან, თეატრებში შავ-თეთრი წარმოდგენების სერიებია, თუმცა, ეს არაფერი, მთავარია იყოს სადმე ადგილი, რათა ზედმიწევნით ელიტურმა არტისტულმა წრეებმა თავი მოიყარონ, ჩვენ დიდი ტრადიციების სადარაჯოზე ვიდგეთ, თუმცა, მეორე მხრივ, ფეხქვეშ გავეგოთ "იმპორტულის" ნიშნით გაბრწყინებულ ფენომენებს. აქ ყველაფერი მარტივია. სასამართლოს კრიტერიუმები ძალზე აშკარაა. თუ გინდა, თავდაყირა დადექი, მოვლენ, ყველა შემთხვევაში ყველასა და ყველაფერს ერთი ხელის მოსმით გამოააშკარავებენ: რამდენად ზნეობრივია მისი არსი და შინაარსი, რამდენად გამართლებულია წმინდა ეროვნული და საერთაშორისო, ანუ "ევროკავშირული კრიტერიუმებით." და შეფასებაც ესაა. ჩამოყალიბდება ზოგადი თუ საზოგადო აზრი და თუ გაგიმართლა სიცოცხლის ბოლომდე, მეტრი ხარ...

არ მინდა მკითხველს ეგონოს, რომ ეს წერილი ჩემი ერთგული თაყვანისმცემლისთვის ერთი წლის დაგვიანებით დაწერილი პასუხია. მე მხოლოდ შევეცადე მთავარი თემა გამომეკვეთა და აქცენტები ღიად დამესვა მათთვის, ვისაც ხშირად ამა თუ იმ პროცესის "დამნაშავეებს" ვეძახით. ეს კი ძნელი აღმოჩნდა. პირველ რიგში იმიტომ, რომ დამნაშავე ის დრო და ის ეპოქა ყოფილა, ვინც სადღაც გაგვყინა და მიგვაძინა, მეორეც იმიტომ, რომ კრიზისშია არა მხოლოდ ხელოვნება, ხელოვანი, კრიტიკოსი და მაყურებელი, არამედ მთელი საზოგადოება. კრიზისშია ის, როგორც აზროვნების მთავარი ღერძი, რომლის გარშემოც კულტურული ცხოვრება უნდა მიმდინარეობდეს, რომელიც თავად უნდა ქმნიდეს, თავად ბადებდეს როგორც ხელოვანთ, ისე მათ კრიტიკოსთ, როგორც იდეას, ისე მის საწინააღმდეგოს. მაგრამ კრიზისი ხომ ყველაგან და ყოველთვის ახლის საწყისი იყო და განახლებისთვის ჩვენც მზად უნდა ვიყოთ. დღეს ამბობენ, რომ კრიტიკა არ არსებობს და რა ახსნა და გამართლებაც არ უნდა ვეძებოთ, მაინც უძლურები ვართ ფაქტების წინაშე. ქართველი ხელოვანები არტ-კრიტიკის სავალალო მდგომარეობას "ზეიმობენ", კრიტიკაზე მათ გამარჯვებას აღნიშნავენ და, როგორც ჩანს, ეს ყოველივე საკუთარ წარმატებად მიაჩნიათ. ძნელია შეეწინააღმდეგო. ამ ბოლო წლებში ამა თუ იმ საკითხისადმი ატეხილ აჟიოტაჟში საზოგადოებრივი, გაუგებარი წარმომავლობის აგრესია უფრო იყო, ვიდრე პროფესიული კრიტიკით პროვოცირებული საზოგადოებრივი პოზიცია. დიახ, თქვენ დაგავიწყდათ, თუნდაც "ჯინსების თაობის" რეჟისორი იოლად მისაღწევი წარმატების წყურვილში გემხილებინათ; "დიდი სამების" პროექტების კონკურსებზე შეგევლოთ და შენიშვნები გამოგეთქვათ, იქნებ მერე გაკვირვებულებს აღარ გვევლო ქალაქში; დაიბენით და გამოგრჩათ, "პირველი რუსი" წაგეკითხათ და ერთადერთი შენიშვნა, მწერლის მეტი შესაძლებლობები აღგენიშნათ, იქნებ აღშფოთებულ ადამიანებს აღარ ერბინათ თბილისში; კარგი იქნებოდა, ქუჩებში ისე გევლოთ, გაურკვეველი ფორმებისა და ცხენიანი კაცებისთვის ხანდახან მაინც შეგეხედათ; ახლაც გავიწყდებათ, განახლებულ თეატრებში დაბრუნებულ რეჟისორებს შეახსენოთ, რომ ახალი თაობის აღზრდის ჟამი დგება და მხოლოდ ორიგინალური და დამაინტრიგებელი სიუჟეტებით ახალი თეატრი მათი ხელითაც კი არ დაიბადება. დიახ, ეს ყველაფერი და კიდევ ბევრი რამ გამოვტოვეთ, თავისუფალი აზრი და შეფასების უნარი ნაციონალური და კიდევ მრავალი სხვა კომპლექსით შევზღუდეთ, თქვენ ალბათ არაერთი დაინდეთ და შეიბრალეთ! იქნებ ჩვენში ფესვგადგმულმა ნაცნობ-მეგობრობამ მაესტროებს თქვენი ხელით აღარ გახადა მანტიები. სწორედ ამიტომ ამბობენ, რომ თქვენ აღარ არსებობთ!

დუმილი დაიწყო და უკვე რა ხანია გრძელდება. დაიწყო მას შემდეგ, რაც თქვენზე გაიმარჯვეს, კრიტიკოსებო, მაგრამ, სამწუხაროდ, ახლა თითქმის აღარავინაა, ვინც თქვენზე გამარჯვებას მოახერხებს. ახლა ხმამაღლა აზროვნების ჟამია, ახლა საზოგადოებაში პროვინციული კომპლექსების დაძლევის დროა. ახალი კულტურა ახალ დიალოგებს მოითხოვს. უფერულმა, მაგრამ მაინც საინტერესო პოტენციის მქონე ჩვენმა ხელოვნებამ ხვალ შთამბეჭდავი ნახტომი უნდა გააკეთოს, პირდაპირ - უახლეს, შესაძლოა, ჯერ დაუბადებელ ხელოვნებაში. ამას მხოლოდ ჯანსაღი თვითკრიტიკით მოახერხებს.



ხუან მირო

## პავაროტი ვეტერანებისა და ბავშვების ხათრით იმღერებს



ცნობილმა იტალიელმა ტენორმა ლუჩანო პავაროტიმ არაერთხელ განაცხადა, რომ 70 წლის ასაკში დაამთავრებდა კარიერას. და აი, ეს დროც დადგა. შეასრულებს თუ არა დანაპირებს მომღერალი?

სავარაუდოდ, კი, მაგრამ, როგორც ჩანს, არც ისე მალე. მისი უკანასკნელი ტურნე გერმანიაში, შტუტგარტში აიღებს სტარტს და ცხრა თვეს გაგრძელდება. ტურნე მომავალი წლის 8 ივნისს დიდ ბრიტანეთში დასრულდება.

ლუჩანო პავაროტი 1935 წლის 12 ოქტომბერს ქალაქ მოდენში, მელომანი მეფუნთუშის ოჯახში დაიბადა. მომღერლის მომავალი პროფესია მამის გენებმა (მას შესანიშნავი ხმა ჰქონდა) და ქალაქურმა ჰაერმა განაპირობა. საქმე ისაა, რომ არაჩვეულებრივი ლორითა და წითელი ღვინით სახელგანთქმულ მოდენში თავის დროზე კარიერა დაიწყო ჯუზეპე ვერდიმ, არტურო ტოსკანინიმ, ოტორინო რესპიგიმ. ახალგაზრდა ლუჩანოს დებიუტი 1961 წელს, მოდენადან 25 კილომეტრის დაშორებით მდებარე ოპერის თეატრში შედგა. რამდენიმე წლის შემდეგ პავაროტიმ ამერიკული სცენა დალაშქრა. აქვე იგემა მსოფლიო აღიარებაც. 1971 წელს მან "მეტროპოლიტენ ოპერის" სცენაზე ერთ-ერთი ურთულესი პარტია შეასრულა. იმ დღიდან პავაროტი საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა. მისმა არაჩვეულებრივმა ტემბრმა ხელოვნებისგან შორს მდგარი ადამიანების აღფრთოვანებაც კი დაიმსახურა. დიდი ტრიოს - პავაროტის, დომინგოს და კარერასის ჩანაწერებმა კი მთელი მსოფლიო ტრიუმფით შემოიარა.

ოფიციალურად თავისი კარიერა ლუჩანო პავაროტიმ 2002 წელს დაასრულა. თუმცა, მას შემდეგ რამდენიმე ქალაქი შემოიარა და ბევრი "უკანასკნელი კონცერტი" გამართა. ტენორს არც ახლა სურს საბოლოოდ დაემშვიდობოს სცენას და აცხადებს, რომ მომავალში შესაძლოა მხოლოდ ომის ვეტერანებისა და ბავშვების ხათრით იმღეროს...

## მელ გიბსონი ქველმოქმედებას ეწევა



რეჟისორმა და მსახიობმა მელ გიბსონმა ქარბორბალა "სტენისგან" დაზარალებული მექსიკის მოსახლეობისთვის მილიონი დოლარი გაიღო. ამასთან დაკავშირებით ფილმების "შეშლილი მაქსისა" და "მამაცი გულის" ვარსკვლავი პირადად შეხვდა მექსიკის პრეზიდენტ ვისენტ ფოკს.

გიბსონმა მას შემდეგ გადაწყვიტა დახმარების გაწევა, რაც თავად გახდა ქარბორბალა "სტენის" უშუალო მოწმე. ის მექსიკის შტატ ვერაკრუზში ახალ ფილმ "აპოკალიპტოს" იღებდა, რომელშიც მოქმედება სამი ათასი წლის წინ ვითარდება. ფილმის გმირები, ისევე როგორც "ქრისტეს ვნებებში". ე.წ. მკვდარ ენაზე, ამჯერად, მაიას ტომის ენაზე საუბრობენ.

შეგახსენებთ, რომ ქარბორბალა "სტენის" მიზეზით ცენტრალურ ამერიკასა და მექსიკაში ორი ათასამდე ადამიანი დაიღუპა. ყველაზე მეტი მსხვერპლი გვატემალაში იყო. ამასობაში მექსიკას კვლავ უახლოვდება ახალი ქარბორბალა "ვილმა". ხუთბალიანი შკალის მიხედვით მას მეოთხე კატეგორია აქვს მინიჭებული.

## რეკორდული თანხა შელახულ მარკებში

ოთხი შელახული საფოსტო მარკა 2 მილიონ 970 ათას დოლარად აუქციონის წესით გაიყიდა. მარკების გამოშვების თარიღი 1918 წელია. ამ პერიოდში მათი საცალო ფასი მხოლოდ 24 ცენტი იყო.

თავის დროზე მსგავსი მარკების მილიონამდე ეგზემპლარი დაიბეჭდა. აქედან 100 ცალზე გამოსახული თვითმფრინავის სურათი პოლიგრაფიული შეცდომის გამო შემობრუნებული აღმოჩნდა. სწორედ ამ მარკებს დაედო განსაკუთრებული ფასი. ძალიან ძვირფასია ოთხი ეგზემპლარიც, რომლებზეც უკუღმა დაბეჭდილი თვითმფრინავის კიდეები მოჩანს.

100 დეფექტიანი მარკა 1918 წელს უცნობმა პირმა მთლიანად შეიძინა და პრაქტიკულად იმავე დღეს 15 ათას დოლარად გაასაღა. შემდგომში ყველა მარკა ცალ-ცალკე გაიყიდა. 1954 წელს ბლოკად შეკრული ოთხი მარკის ღირებულება 18250 დოლარი იყო, 1989 წელს კი აუქციონ "კრისტიზე" 1,1 მილიონ დოლარად გაიყიდა. ამ ხნის განმავლობაში მარკების მფლობელის ვინაობა არ ხმაურდებოდა. ის ცნობილი ფილატელისტი და ნუმიზმატი, რადიოინდუსტრიაში მომუშავე კერბი კონფერი აღმოჩნდა. ახალი მფლობელის ვინაობა კვლავ გასაიდუმლოებულია. "ნიუ იორკ ტაიმსის" მონაცემებით, ჯერჯერობით ყველაზე ძვირად 1857 წელს გამოშვებული შვედური მარკაა გაყიდული. ის 2,2 მილიონ დოლარად შეფასდა. სხვათა შორის, მასზეც არის ასახული პოლიგრაფიული შეცდომა.

# სტუმრად მაესტროსთან

## მოგონებები და თეორიები დავით ანდღულაძეზე

სოფო კილასონია

შენობა, რომელსაც თერთმეტსართულიანს ვეძახით და რომელსაც ამ რამდენიმე დღის წინ ვესტუმრე, 1939 წელს აშენდა. მაშინ იქ 1937 წლის დეკადის მონაწილეები დასახლდნენ. აქ ცხოვრობდნენ შავგულიძეები, აბულაძეები, ქობულაძეები, კობახიძეები, ჩიქოვანები... 1939 წელს ამ სახლში გადმოვიდა დავით ანდღულაძე ოჯახთან ერთად. ჩამოთვლილთაგან დღეს მხოლოდ რამდენიმე გვარის ამოკითხვა შეიძლება ამ სახლში სადარბაზოების კარებზე. უკვე დიდი ხანია, რაც თერთმეტსართულიანი მხოლოდ წარჩინებულ მოღვაწეთა სასახლე არ გახლავთ, თუმცა, საოპერო ხელოვნებაში წარმატებული ახალგაზრდები და მომავალი ვარსკვლავები ჯერ კიდევ აქ იყრიან თავს. ამ შენობის პირველი სადარბაზოს მეცხრე სართული ალბათ მათი კარიერის ერთ-ერთი პირველი, მაგრამ ძალიან წარმატებული და გადამწყვეტი ნაბიჯია. ეტაპი, რომელიც მათ ცხოვრებას ჩვენი მაესტროს ნოდარ ანდღულაძის სახელთან აკავშირებს. თუმცა, მარტო სახელთან არა. ეს ის სახლია, რომელშიც დავით ანდღულაძემ, უდიდესმა ტენორმა ქართული საოპერო ხელოვნების მთავარი და წამყვანი სკოლა შექმნა. ეს არის სახლი, რომელშიც ის თაობები აღიზარდნენ, ვინც ქართულ ხელოვნებას შორს გაუთქვეს სახელი. დავით ანდღულაძის მიერ დაწყებულ გზას დღეს ნოდარ ანდღულაძე და უკვე მის მიერ აღზრდილი მსოფლიო დონის ვოკალისტები აგრძელებენ. 15 ოქტომბერს დავით ანდღულაძის დაბადებიდან 110 წელი შესრულდა. სწორედ ამ თარიღთან დაკავშირებით ვესაუბრე ბატონ ნოდარს, თუმცა, ოთახი, რომელიც სხვადასხვა თაობის ხელოვანთა ფოტოებსა და მათ შესახებ სხვადასხვა ისტორიებს ინახავს, იმ დღესაც არაერთი მოგონებისა და საინტერესო საუბრის მომსწრე გახდა.

"ჩემს თაობას დავით ანდღულაძე მიაჩნდა განუმეორებელ მოვლენად საოპერო ხელოვნებაში. ჩვენ ყველანი მის შემოქმედებაზე აღვიზარდეთ. მისი გავლენა ჩემსა და ჩემს წინა თაობაზე უსაზღვროდ დიდი იყო. მან შექმნა ის, რასაც შემდეგში დაერქვა ქართული ვოკალური კულტურა და სკოლა. ხშირად ვამბობთ ხოლმე - "დიდი ქართველი". ჩვენ ასეთად დავით ანდღულაძე მიგვაჩნდა. ასე ვფიქრობდით არა მხოლოდ ახლობლები და ოპერის თაყვანისცემლები, არამედ საერთოდ ფართო საზოგადოება. ის იყო უშანგი ჩხეიძის, აკაკი ხორავას, აკაკი ვასაძის მეგობარი. ძალიან უყვარდათ სპარტაკ ბაღაშვილს, სანდრო ახმეტელს, კოტე მარჯანიშვილს. ესენი იყვნენ ბრწყინვალე ვარსკვლავები ნამდვილი და არა პროვინციული ხელოვნებისა. მათ შორის თავისი, განუმეორებელი ადგილი ეკავა დავით ანდღულაძეს. მრავალი წლის შემდეგ კოზლოვსკიმ მითხრა: "ჩვენ ყველანი ვცდილობდით რაღაცის დამტკიცებას, მაგრამ დავითს არაფრის დამტკიცება არ სჭირდებოდა. ის თავისი ხელოვნებით იყო თავისთავადი და არავის უპირისპირდებოდა," - ეს დამახასიათებელი სიტყვებია ისეთი დიდი ადამიანისთვის, როგორიც ივან კოზლოვსკი გახლდათ. სტანისლავსკი, რომელთანაც მოსკოვში ახლად ჩასული მამაჩემი ცხოვრობდა, სიცოცხლის ბოლომდე მისი ერთგული თაყვანისმცემელი გახდა. მას ჩემდეგ, რაც დავითი მისი თეატრიდან მოსკოვის დიდ თეატრში გადავიდა, 1934 წელს მან გაუგზავნა საკუთარი ფოტო, რომელზეც წააწერა: "ძვირფას მოღალატეს, დავით ანდღულაძეს, სიყვარულით სტანისლავსკისგან".

ეს ფოტო დღესაც იმ ოთახშია, რომელშიც დავითი ყველაზე დიდ დროს ატარებდა. დავით ანდღულაძე სტანისლავსკის იმდროინდელი სკოლის მოსწავლედ ითვლებოდა, რომელიც მისთვის საუკეთესო პერიოდი იყო საოპერო ჟანრში. როცა ანდღულაძე პირველად ჩავიდა მასთან, დიდ რეჟისორს ისე მოსწონებია, რომ მისთვის საკუთარ სახლში დარაჯის ოთახი დაუთმია.

ყველაფერი კი ასე დაწყებულა: რევოლუციის შემდეგ ბათუმში აღმოჩნდა რუსეთის დიდი თეატრის მსახიობი ვრონსკი. მან იქ შექმნა სტუდია, რომლის საფუძველზეც შემდეგ ჩამოაყალიბა ბათუმის საოპერო თეატრი. ეს მოხდა 1921 წელს. ერთი წლის შემდეგ მასთან ახალგაზრდა დავით ანდღულაძე მივიდა. ორი წელი ვრონსკისთან ისწავლა, შემდეგ თბილისში გადმოვიდა. ამას მოჰყვა ის, რომ აქაურმა რექტორმა წარჩინებული სტუდენტის თხოვნით ვრონსკიც თბილისში გადმოიყვანა. "ვრონსკიმ უდიდესი პლეადა შექმნა: დავით ანდღულაძე, დავით ბადრიძე, დავით გამრეკელი, ბათუ კრავეიშვილი და სხვები. "სხვათა შორის, ვრონსკის იტალიური სკოლა ჰქონდა გავლილი, ეს კი კარგად შეერწყა ქართულს. ამიტომაც უცებ ბევრი დიდი მომღერალი გაჩნდა. მართალია, დავით ანდღულაძე ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული დიდი ტალანტი გახლდათ, მაგრამ მან საუკეთესო განათლება მიიღო და შესანიშნავი სკოლა გაიარა ჯერ თბილისში, შემდეგ კი - სტანისლავსკისთან. სტანისლავსკის თეატრში მიაჩნდათ, რომ ის მეორე კარუზო იყო. ასეთი წარმატების მიზეზი კი ალბათ ის გახლდათ, რომ ფენომენალური მუსიკალური მონაცემები, არტისტიზმი და თანმიმდევრული ვოკალური კულტურა კარგად შეერწყა ერთმანეთს. ამიტომ მოგვცა მან ძლიერი ენერგეტიკული სინთეზი. მას მშვიდად ვერ უყურებდი სცენაზე, უსათუოდ ჩაგითრევდა თავის სამყაროში და შემდეგ მაყურებელი მონაწილე ხდებოდა მისი მოქმედებისა. მან ტენორის თითქმის ყველა პარტია შეასრულა როგორც ჩვენი, ისე დიდი თეატრის სცენაზე. რა თქმა უნდა, ზოგიერთი უფრო მეტად უხდებოდა მის ხმას და მის შემოქმედებით მხატვრულ ინდივიდუალობას, მაგრამ ის ისეთი ოსტატი იყო, რომ ყოველი მიმართულებით თავისებური მოულოდნელობებით სავსე სახეებს ქმნიდა - ჰეროიკული, ტრაგიკული და დრამატული ჟანრით დაწყებული და შედარებით რეალისტური და ლირიკული სახეებით დამთავრებული. დავით ანდღულაძის ეს ფენომენი შემდეგ ბუნებრივად გაიზარდა მის პედაგოგიურ მუშაობაში. ჩვენ კი ვცდილობთ ამ მეთოდის გაგრძელებას, რამდენადაც შეგვწევს ძალა და ნიჭი გავავრცოთ იგი მომავალ თაობებზე. ამ მხრივ გარკვეული წარმატებები ნამდვილად გვაქვს. ჩემი და ზურაბ ანჯაფარიძით დაწყებული, შემდეგ ზურაბ სოტკილავა, ნუგზარ გამგებელი, ლადო ათანელი, სულ ახლახან გია ონიანი... ეს ერთი ხაზია და ამ ძალისხმევამ გაანპირობა, რომ რუსეთში ჩვენს სკოლას ქართული ბელკანტო დაარქვეს. მიმაჩნია, რომ ჩვენი ხელოვნების ეს ნაკადი და საერთაშორისო წარმატებები დავით ანდღულაძის ნიშნით წარიმართება."


ნოდარ ანდღულაძე

თავი რომ დავანებოთ მთელ თაობებს, რომლებიც დავით ანდღულაძის აღზრდილებად უნდა ჩაითვალოს, მისი წარმატებული პედაგოგიური მოღვაწეობის დასასაბუთებლად რამდენიმე სახელი და გვარიც იკმარებდა. ზურაბ ანჯაფარიძე, ზურაბ სოტკილავა, თავად ნოდარ ანდღულაძე... თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დიდ ტენორს ქართული საოპერო ხელოვნების განვითარებისთვის მეტად მნიშვნელოვანი, რეფორმატორული მუშაობა განუხორციელებია: "იგი იმთავითვე დაუპირისპირდა რუსულ სატენორო სკოლას. ჩვენი ხმებიც და ჩვენი ბუნებაც უფრო იტალიური სკოლისკენ იხრება... არის ასეთი ცნება ჩვენს დარგში - ყური. ის ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო ვოკალში. ეს პიროვნების ესთეტიკური ჩამოყალიბების საშუალებაა. ბოლო დროს ყურის კულტურამ იკლო, მაგრამ ქართული - ეს ცალკე ფენომენია, თავისი ხალხური მუსიკით, საგალობლებით, თუ გნებავთ, მეტყველებითაც. ჩვენ და იტალიელები ძალიან ახლოს ვართ ხმოვნებით. ადამიანი კი სწორედ ხმოვნებზე მღერის. დავითი ძალიან ბევრს მუშაობდა ამ მიმართულებით. სიმართლე გითხრათ, მე ნაკლებს ვმუშაობდი მასთან ვოკალის მიმართულებით, რადგან აბსოლუტურად გარკვეული ვყავდი ესთეტიკასა და თეორიაში. პატარაობიდან ყოველ სპექტაკლს ვარჩევდი მასთან, ჯერ ბავშვურად, შემდეგ კი კრიტიკულად და დეტალურად."

ზურაბ ანჯაფარიძე დავით ანდღულაძესთან ბატონ ნოდარს მიუყვანია. მაშინ თურმე ბარიტონობას ითხოვდნენ მისგან. მას კი მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, თუ ტენორი არ გახდებოდა, სიმღერას საერთოდ თავს დაანებებდა. გადამწყვეტი სიტყვა დავით ანდღულაძეს უნდა ეთქვა: - რა თქმა უნდა, ტენორი! - ასეთი იყო სასიხარულო განაჩენი. "მე ისე არ ვგავარ მამაჩემს სცენაზე, როგორც ზურიკო ჰგავდა. მან პირდაპირ ავტომატურად აილო ჟესტი, გამოხედვა და ყველაფერს თავისებური ნიჭი და ხიბლი შესძინა. ოდისეი დიმიტრიადი ამბობდა, რომ დავით ანდღულაძე იყო მასშტაბური ძალა, რაღაც მთლიანობა. მისმა მოწაფეებმა სოტკილავამ და ანჯაფარიძემ მისგან აიღეს სტიქია, მე კი თურმე სიბრძნე. ჩვენ, მისი მოწაფეები, ყოველთვის ვამბობდით, რომ დავით ანდღულაძე იყო მოვლენა, რომლამდეც ვერც ერთმა ვერ მივაღწიეთ. ანდღულაძის ხმა მსოფლიო ეტალონების ხმას უტოლდებოდა.

**- ბატონო ნოდარ, თუ ხედავთ რომ ასეთი მასშტაბის ხელოვანი ქართულ ოპერაში კიდევ დაიბადება?**

- თაობებს გარკვეული თავისებურებანი ახასიათებთ. არა მარტო სიმღერაში, არამედ საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. დროის ცვალებადობა ყველაფერს თავის დაღს ასვამს. მე ასეთი პასაჟი მაქვს თქვენს შეკითხვაზე: ასაფიევი თავის "ინტონაციის თეორიაში" ასეთ აზრს ავითარებს. ოპერა არის საზოგადოებრივი ცხოვრების ბარომეტრი. თუ აყვავებულია საზოგადოებრივი ცხოვრება, პიროვნება მდიდარია ამ საზოგადოების შიგნით. იგი უფრო თამამია და თამამად ამბობს თავის სიტყვას. თუ ატმოსფერო დახშული და სასოწარკვეთილია, იქ ინტონაცია ქვეითდება. რაღაცნაირად ღარიბდება ჩვენი ხმები. ზუსტად არ ვიცი, ალბათ სული ღარიბდება. რაც დრო გადის, ჩვენ უფრო მეტი ზრუნვა გვჭირდება ახალგაზრდის არა მხოლოდ პროფესიული ჩამოყალიბების, არამედ მისი სულიერი სიმაღლისთვის. მხატვრული აზროვნების ჩამოყალიბება, ხელოვნების სიყვარული - ჩვენთვის ეს დიდ პრობლემად იქცა. ბუნებრივ მონაცემებთან ერთად, მთავარია, პიროვნებამ ამოიღოს ხმა. აი, ამ მხრივ არის ხიფათი, რომელსაც მერაბ მამარდაშვილი ანტროფოლოგიური კატასტროფის საფრთხეს ეძახდა. ბოლო დროს ხაზგასმით აღნიშნავენ ქართული ხმების ბუნებრიობას. ეს მართლაც დიდი განძია, მაგრამ ამას გაფრთხილება, დაფასება და მოვლა სჭირდება. თუმცა, ჩვენი ბუნება ამით არ ამოიწურება: ჩვენ გვაქვს კულტურა, ის, რასაც სმენა იძლევა. ჩვენი ესთეტიკა მაღალ დონეზე იყო და არის. ყველაზე დიდი შეფასება, რომელიც მე მიმიღია, იყო ის, რომ ჩემს ხმას იტალიაში ლათინური ტემბრის მქონე უწოდეს. ეს ყველაზე მაღალი შეფასებაა იტალიური ხმებისთვის. ასე რომ, ჩვენ გვაქვს მუსიკალური ყური, მუსიკალური გემოვნება, მაღალი მუსიკალური, ხალხური კულტურა. ხაზგასმით ვამბობ - ხალხური! ესაა ჩვენი სიმდიდრე, ამას უნდა გავუფრთხილდეთ და ამასვე უნდა დავეყრდნოთ. ამის საფუძველი ჩაყრილია ფალიაშვილისა და სხვა კომპოზიტორების მუსიკაში. ისეთი მომღერლების ანდერძად დატოვებულ ხელოვნებაში, როგორიც იყო დავით ანდღულაძე. საფუძველი ჩაყრილია ჩვენს დღევანდელ ცდასა და მეცადინეობაში, რომ ეს ყველაფერი აქამდე მოვიტანეთ. ეს დიდი კულტურა არც სამომავლოდ უნდა დავუკარგოთ ჩვენს ხალხს და კიდევ იმ სხვებს, რომლებსაც ეს დიდი ნიჭი არ გააჩნიათ."

# ჯონი დეპი - AFI-ს ფესტივალის რჩეული

ამერიკის კინოს ინსტიტუტის (AFI) ფესტივალი 2005 წლის მთავარ პერსონად ჯონი დეპს ასახელებს და თავის პროგრამის ძირითად ნაწილს მას უძღვნის. ფესტივალი გაიხსნება 11 ნოემბერს, მას შემდეგ, რაც შედგება მსოფლიო პრემიერა ფილმისა "ლიბერტაინი", რომელშიც მთავარ როლს დეპი თამაშობს. მასთან ერთად ფილმში მონაწილეობენ ჯონ მალკოვიჩი და სამანტა მორტონი. რეჟისორი არის ლოურენს დანმორი, მისთვის ეს ნამუშევარი სარეჟისორო დებიუტია. "ჩვენი მიზანია ყურადღება გავამახვილოთ მსახიობებზე, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი პროფესიული სტანდარტებით და საინტერესო როლებით, ჩვენ გვსურს მეტი ვიცოდეთ მათ შესახებ. ვფიქრობ, რომ ჯონი დეპი სწორედ ასეთი მსახიობია. მან თავისი კარიერის განმავლობაში ბევრი რისკიანი და საინტერესო არჩევანი გააკეთა და ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი კინოპერსონაა," - აცხადებს კრისტიან გეინისი, AFI-ს ფესტივალის ხელმძღვანელი.

ფესტივალის ფარგლებში ნაჩვენები იქნება რეტროსპექტივა ჯონი დეპის 4 ფილმისა, ესენია: "მკვდარი", "ედვარდი-ხელებმაკრატელა", "შიში და სიძულვილი ლას ვეგასში" და "რას ჭამს გილბერტ გრეიფი". ასევე დაგეგმილია მსახიობის საუბარი რიჩარდ შიკელთან, ცნობილ კინოკრიტიკოსსა და კინოდოკუმენტალისტთან, რომელსაც დაწერილი აქვს 30-ზე მეტი წიგნი, მათ შორის დევიდ უორკ გრიფიტზე, მარლონ ბრანდოზე, ჩარლზ ჩაპლინსა და ვუდი ალენზე.



# ლუდვიგის საჩუქარი

პენსილვანიის ბიბლიოთეკამ გასულ პარასკევს საზოგადოება განაცვიფრა. ბიბლიოთეკის არქივებში შესული ფილადელფიის უნივერსიტეტის პროფესორ-სტუდენტები საოცარი აღმოჩენის ავტორები გახდნენ. ოთხმოცგვერდიანი ხელნაწერი ნოტები თავად ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის საკუთრება აღმოჩნდა. ნაწარმოები ორი ფორტეპიანოსთვის დაწერილი ფუგაა, რომელიც დიდ კომპოზიტორს 1827 წელს, სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე შეუქმნია.

როგორც ერთ-ერთმა ბიბლიოთეკარმა ამცნო საზოგადოებას, ბეთჰოვენის აქამდე უცნობი ნაწარმოების ორიგინალური ნოტები სარდაფში არსებულ ძველ კარადაში აღმოაჩინეს, სწორედ მაშინ, როცა იქ თეოლოგიის სემინარები მიმდინარეობდა.

როგორც მუსიკათმცოდნე ჯეფრი კალბერი ხსნის, ეს დიდი ფუგა თითქმის ერთი საუკუნით უსწრებს იმ დროსა და ეპოქას, როცა იგი შეიქმნა. ლუდვიგმა, როგორც ჩანს, XX საუკუნის ავტორებს აჯობა. ცნობა ამ ნაწარმოების არსებობის შესახებ, მხოლოდ 1890 წლის აუქციონის ჩანაწერებში აღმოაჩინეს. მას შემდეგ მის შესახებ არც არავის უხსენებია და არც არაფერი გახსენებიათ. იმ შემთხვევაში, თუ დიდ ფუგას აუქციონზე გაიტანენ, მისი ღირებულება დაახლოებით ორ მილიონ ევროს მიაღწევს. მუსიკათმცოდნე ევროპას ამ ამბავში საეჭვოდ არაფერი ეჩვენება. ასე რომ, ბეთჰოვენის გზავნილი XXI საუკუნისთვის, სავარაუდოდ სულ მალე აჟღერდება.



Lufthansa News

# გაყიდვების მოცულობის და ჩატვირთვის კოეფიციენტის შთამბეჭდავი შედეგები

გადამტანი ძალის გამოყენების ეფექტური პოლიტიკის წყალობით ჩატვირთული სავარძლების კოეფიციენტი ისევ გაიზარდა.

2005 წლის იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით Lufthansa-მ მოახერხა გაყიდვების მოცულობის და ჩატვირთვის კოეფიციენტის გაზრდა სამგზავრო რეისებზე. ამ პერიოდის განმავლობაში ავიაკომპანიამ 38,8 მილიონი მგზავრი გადაიყვანა, რაც 0,5 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდზე. გადამტანი სიმძლავრეების ზომიერმა გაზრდამ, 4,7 პროცენტით გაზარდა გაყიდვების მოცულობა. სავარძლების ჩატვირთვის კოეფიციენტი გაიზარდა 1,5 პროცენტით და მიაღწია 75,8 პროცენტს, რაც საუკეთესო მაჩვენებელია კომპანიის არსებობის ისტორიაში.

2005 წლის პირველი ცხრა თვის განმავლობაში კომპანია Lufthansa Cargo-მ, რომელიც სპეციალიზირებულია სატვირთო გადაზიდვებზე, გადაიტანა 1,3 მილიონამდე ტონა ტვირთი და ფოსტა, რაც თითქმის ანალოგიურია წინა წლის ამავე პერიოდის მონაცემებით. გადამზიდი ძალების გაზრდის წყალობით, სამგზავრო თვითმფრინავის ბარგის განყოფილებაში 2,7 პროცენტით, სატვირთო რეისებზე ჩატვირთვა შემცირდა 2,2 პროცენტით.

ჩატვირთვის საერთო კოეფიციენტი Lufthansa Group-ის სამგზავრო და სატვირთო რეისებზე უმნიშვნელოდ შემცირდა 70,6 პროცენტამდე.

Lufthansa Group-ის ფინანსური მონაცემები 2005 წლის იანვრიდან სექტემბრამდე გამოქვეყნებული იქნება 2005 წლის 10 ნოემბერს. ფინანსურ შედეგებს შეგიძლიათ გაეცნოთ საიტზე www.lufthansa-financials.com


ყურადღება!

რესტორანი "დაკარგული სამოთხე"

რუსთაველზე (კინოს სახლში) 12-დან 18 საათამდე გთავაზობთ სადილის მენიუს, სადაც ყოველი კერძის ფასი 3 ლარია. სამზარეულოში ყოველი 15 ლარის შეკვეთაზე მოგართმევენ 0,5 ლ ღვინოს (რქაწითელი) უფასოდ. გპირდებით კერძების ფართო არჩევანს და შესანიშნავ გარემოს.

ტელ. 999-207


# ალენ დელონი - შვეიცარიის მოქალაქე

ნინო ჩიმაკაძე

ფრანგული კინოს ლეგენდა, 63 წლის ალენ დელონი შვეიცარიის მოქალაქე გახდა. დელონი 1985 წლიდან ჟენევასთან ახლოს მდებარე ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობს მეუღლესთან და ორ შვილთან ერთად. მისი შვილები 8 წლის ანუშკა და 5 წლის ალენ ფაბიენი ასევე შვეიცარიის მოქალაქეები არიან (შეგახსენებთ დელონს კიდევ ჰყავს ერთი შვილი პირველი ქორწინებიდან-ცნობილი მსახიობი ენტონი დელონი).

63 წლის მსახიობს ფიცის დადება მოუწევს ჟენევის საბჭოში, ვიდრე გადაწყვეტილების ოფიციალური რატიფიცირება მოხდება. შვეიცარია ნებას რთავს სხვა ქვეყნის მოქალაქეებს შეინარჩუნონ საკუთარი ნაციონალობა და პირვანდელი მოქალაქეობა, მას შემდეგ, რაც ამ ქვეყნის მოქალაქეობას მიიღებენ. ასე რომ, ფრანგი დელონი ამიერიდან შვეიცარიელის სტატუსსაც მოირგებს.

ალენ დელონს თავისი კარიერის მანძილზე უამრავი როლი აქვს შესრულებული. მისი ბოლო ნამუშევარია ფილმი "წითელი წრე", რომელიც 2003 წლით თარიღდება.